საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი
1220

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

შაბათი 8 თებერვალი 1941 წ.
№ 32 (6037)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ერთეული კომუნისტები

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIII ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ამხ. ჩარკვიანი აღნიშნავდა, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში 3.000-ზე მეტი ერთეული კომუნისტია, რომელთა დიდი უმრავლესობა სოფლად მუშაობს; მრავალ კოლმეურნეობაში პირველადი პარტორგანიზაცია არ არსებობს და იქ პარტიული გავლენის გამტარებელნი არიან ერთეული კომუნისტები. ამხ. ჩარკვიანი მიუთითებდა, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომი სუსტად მუშაობს ერთეულ კომუნისტებთან და მოუწოდებდა ამ ნაკლის გამოსწორებისაკენ.

საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის შემდეგ პარტრაიკომებმა რამდენადმე გააუმჯობესეს მუშაობა ერთეულ კომუნისტებთან, უფრო ხშირად იწვევენ ერთეულ კომუნისტთა თათბირებს, აბამენ მათ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, ეხმარებიან პრაქტიკულ საქმიანობაში, კონტროლს უწევენ ერთეულ კომუნისტთა მუშაობას თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. ამის შედეგად მრავალი ამხანაგი გამოიზარდა პრაქტიკულ მუშაობაში და დაწინაურებულ იქნა ხელმძღვანელ სამუშაოზე. მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) ქიათურის რაიკომმა 26 ერთეული კომუნისტი დააწინაურა სხვადასხვა სამუშაოზე, საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომმა — 32 და ა. შ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ერთეულ კომუნისტებთან მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალ ნაკლს ვხვდებით. ცალკეული რაიკომები იშვიათად იწვევენ ერთეულ კომუნისტთა თათბირებს, არ ეხმარებიან მათ მუშაობაში, არ აძლევენ პარტიულ დავალებებს, არ ამოწმებენ მიცემულ დავალებათა შესრულებას. მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომს უკანასკნელი წლის განმავლობაში ერთეულ კომუნისტებთან თითქმის არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია, არ შეუმოწმებია, როგორ მუშაობენ, როგორ სწავლობენ და იზრდებიან ერთეული კომუნისტები, რა სიძნელეებს ხვდებიან ისინი მუშაობაში, რაში ესაჭიროებათ დახმარება, არ აცნობენ მათ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, არ უწევენ კონტროლს, თუ როგორ იბრძვიან ერთეული კომუნისტები პარტიული დირექტივების გატარებისათვის იმ მეურნეობაში (დაწესებულებაში, საწარმოში), სადაც ისინი მუშაობენ.

სუსტად მუშაობს ერთეულ კომუნისტებთან საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომიც. აქ ერთეულ კომუნისტებთან ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა არა აქვთ. 34 ერთეული კომუნისტიდან 9 ამხანაგი მოწყვეტილია პარტიულ ცხოვრებას; იმ დროიდან, რაც ისინი ერთეულ კომუნისტებად გახდნენ, არ დასწრებიან პარტიულ კრებას, რაიკომში გამოძახებული არ ყოფილან, არც მათთან მისულა ვინმე. მაგალითად, ერთეული კომუნისტი ი. ჯაშიაშვილი წელიწადნახევარში არ ყოფილა რაიკომში გამოძახებული და არც მასთან მისულა ვინმე. მას მიცემული არა აქვს პარტიული დავალება, ერთეულ კომუნისტთა თათბირს არ დასწრებია.

კიდევ უფრო სუსტად მუშაობს ერთეულ კომუნისტებთან საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომი. აქ ერთხელაც არ დაინტერესებულან შეემოწმებიათ, თუ როგორ მუშაობენ ერთეული კომუნისტები ბოლშევიზმის დაუფლებისათვის, როგორ ახორციელებენ ავანგარდულ როლს კოლმეურნეობაში, საწარმოში. 128 ერთეული კომუნისტიდან პარტიული დავალება არა აქვს 88 ამხანაგს, 34 კაცი ვერ ერკვევა პარტიის წესდებისა და პროგრამის საკითხებში (მათგან 23 პარტკანდიდატია). პარტრაიკომს არ უზრუნია წესდების საფუძველზე ჩამოეყალიბებინა პირველადი პარტიული ორგანიზაციები იმ კოლმეურნეობებში, სადაც კომუნისტთა საკმაო რაოდენობაა. მაგალითად, საჩხერის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში პარტიის სამი წევრი და ერთი კანდიდატი მუშაობს, ხოლო პირველადი პარტორგანიზაცია ჯერაც არ ჩამოუყალიბებიათ. ასევე შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო პირველადი პარტორგანიზაციები და პარტსაკანდიდატო ჯგუფები მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში, მაგრამ ამ საქმეს რაიკომმა ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია.

როგორც ვიცით, სოფლად ერთეული კომუნისტების უმრავლესობა გაფანტულია კოლმეურნეობებში. ეს ერთეული კომუნისტები პარტიის სერიოზული ძალაა. თვითეული მათგანი წარმოადგენს ჩვენს პარტიას კოლმეურნეობაში. მან უნდა უზრუნველჰყოს პარტიის გავლენის გატარება უპარტიო მასებში, დარაზმოს კოლმეურნეები პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივების გაუხრელად განხორციელებისათვის.

ერთეული კომუნისტი ერთადერთია კოლმეურნეობაში, საწარმოში. მას უხდება პასუხი გასცეს ყველა წამოჭრილ საკითხს, დამოუკიდებლად მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება. რომ პირნათლად შეასრულოს კომუნისტის, როგორც მოწინავე ადამიანის როლი, თვითეული ერთეული კომუნისტი უნდა იყოს განსაკუთრებით განვითარებული, იდეურად შეიარაღებული, პოლიტიკურად გამოწრთობილი. ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევს საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომი, არ ეხმარება მცირემცოდნე კომუნისტებს ცოდნის დონის ამაღლებაში.

პარტიის რაიკომებმა გადაჭრით უნდა აღმოფხვრან ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის შეუფასებლობა, გარდაჰქმნან ამ მხრივ თავიანთი საქმიანობა, გააძლიერონ ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მათ შორის. რაიკომებმა უნდა ჩააბან ერთეული კომუნისტები აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, მისცენ მათ კონკრეტული დავალებანი, უზრუნველჰყონ მიცემული დავალების შესრულების შემოწმება, ბოლშევიკურად მოაწყონ ერთეულ კომუნისტთა აღზრდა, დაეხმარონ მათ იდეურ-თეორიული დონის ამაღლების საქმეში, გამოაწრთონ ისინი პრაქტიკულ მუშაობაში.

ამხანაგი კ. ჩარკვიანი თავის ზემოთდასახელებულ მოხსენებაში მიუთითებდა: ...„რაიონულ კომიტეტებს ყოველდღიური კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთეულ კომუნისტებთან, უნდა ეხმარებოდნენ მათ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში და წარმართავდნენ მათს მუშაობას". პარტიის რაიკომებმა გულმოდგინედ უნდა იმუშაონ ამ მითითების განხორციელებისათვის.

ს. ორჯონიკიძის ძეგლი

ჩრდილო ოსეთის დედაქალაქ ორჯონიკიძეში, თავისუფლების მოედანზე, დაიწყო ს. ორჯონიკიძის ძეგლის აგება. ძეგლი შენდება არქიტექტორ დანჩიჩისა და მოქანდაკე დიტრიხის პროექტის მიხედვით.

7-მეტრიან კვარცხლბეკზე დაიდგმება სერგო ორჯონიკიძის ბრინჯაოს დიდი ფიგურა. პოსტამენტის ფუძე წარმოადგენს ტრიბუნას. კვარცხლბეკი მოპირკეთებული იქნება წითელი გაკრიალებული გრანიტით. მის სამ მხარეზე აღიმართება ბრინჯაოს ბარელიეფები, რომლებიც ასახავენ ს. ორჯონიკიძის ცხოვრების ეპიზოდებს.

ძეგლის საერთო სიმაღლე 12,7 მეტრი. (საქდესი).

საბჭოთა გმირების პატივსაცემად

სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარმა ამხ. შაშკოვმა ბრძანება გამოსცა, რომ სახელი შეეცვალოს ზოგიერთ ორთქლთბომავალს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წყალსავალი გზებით დადიან. გემებს მიეკუთვნათ საბჭოთა კავშირის გმირების, გენერლების, მეცნიერებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეების სახელები.

საბუქსირო სატვირთო-სამგზავრო ორთქლთბომავლებს მიენიჭათ სახელწოდებანი: „ტიმოშენკო", „გენერალი მერეცკოვი", „გენერალი სმუშკევიჩი", „ვიქტორ ხოლზუნოვი", „ჩკალოვი", „სეროვი", „პოლინა ოსიპენკო", „კომისარი პოჟარსკი", „კაპიტანი ბადიგინი", „მექანიკოსი ტოკარევი", „თანაშემწე პოლიტნაწილში ტროფიმოვი", „ბუინიცკი" და სხვ.

6 თებერვალი (საქდესი).

1938 წლის სესხის ტირაჟი

1938 წლის სახელმწიფო საშინაო სესხის მორიგი ტირაჟის ვადის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, შემნახველ სალაროებში გაძლიერდა მოთხოვნილება ამ ობლიგაციებზე. მოსკოვის შემნახველი სალაროები ყოველდღე საშუალოდ მილიონი მანეთის ობლიგაციებს ჰყიდიან.

1938 წლის სესხის მე-16 ტირაჟი შესდგება 16 თებერვალს ტაშკენტში. გათამაშდება 11.503.200 მანეთის 17.040 მოგება, მათ შორის 25-ათასმანეთიანი 12 მოგება, 10-ათასმანეთიანი 60 მოგება. (საქდესი).

სასოფლო საექიმო უბნების განმტკიცება

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სპეციალურ დადგენილებაში სცნო, რომ, სოფლის რაიონებში ამ უკანასკნელ ორ წელს 9 ათასი ექიმის გაგზავნის მიუხედავად, სასოფლო საექიმო უბნების დიდ უმრავლესობაში ექიმის თანამდებობა დაუკავებელია. ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები ექიმების განაწილების დარგში ცუდად მუშაობენ. ეს საქმე მიტოვებულია თვითდინების ამარა, რის გამო ბევრი ექიმი, რომელიც სოფლად იგზავნება, ქალაქებში რჩება.

როგორც სსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, რუსეთის სფს რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. ტრეტიაკოვმა და უკრაინის სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. ოვსიენკომ საექიმო უბნების დიდი რაოდენობა დაუკომპლექტებელი დასტოვეს, ხოლო საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოვალეობის ყოფილ აღმასრულებელს ამხ. ფიცხელაურს საერთოდ არაფერი არ გაუკეთებია უბნების დასაკომპლექტებლად. რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის სს რესპუბლიკისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრებს წინადადება მიეცათ სასოფლო საექიმო უბნები მთლიანად დააკომპლექტონ ამა წლის 1 მარტისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების დასახმარებლად, დაუკომპლექტებელი სასოფლო საექიმო უბნებისათვის დიდი ქალაქებიდან დროებით სამუშაოდ (1941 წლის გამოშვების ექიმების ჩასვლამდე) იგზავნება. კარელია - ფინეთის სს რესპუბლიკაში — 39 ექიმი, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 15, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში—22, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 7 ექიმი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესაბამისად, იკრძალება სასოფლო საექიმო უბნებიდან ექიმების გადაყვანა, თუ ამაზე თვითეულ ცალკე შემთხვევაში არ არის მოკავშირე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის ნებართვა და თუ გასაწვევი ექიმი იმავე დროს სხვა ექიმით არ იქნა შეცვლილი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით: სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი ვალდებულია მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, 1 მაისამდე მთლიანად დააკომპლექტოს ყველა სასოფლო საექიმო უბანი. (საქდესი).

დეპეშა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინისა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ რუზველტისადმი

ფრანკლინ რუზველტს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

იმ შემთხვევის გამო, რომ თქვენ ხელახლად შეუდექით პრეზიდენტის თანამდებობას, კეთილინებეთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა, აგრეთვე კაეკეთესო სურვილები თქვენი პირადი ბედნიერებისა და ამერიკელი ხალხის აყვავებისა.

მ. კალინინი

1941 წლის 27 იანვარი.

დეპეშა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბ-ნ რუზველტისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინისადმი

მის აღმატებულებას მიხეილ კალინინს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

მოსკოვი

დიდად ვაფასებ თქვენი აღმატებულებისაგან მიღებულ გულითად მოლოცვას შეერთებული შტატების პრეზიდენტად ჩემი არჩევის გამო და ბედნიერი ვარ თქვენს კეთილ სურვილზე სანაცვლო გრძნობით გიპასუხოთ.

ფრანკლინი დ. რუზველტი

1941 წლის 6 თებერვალი,

გულითად მადლობას ვწირავ ყველა ორგანიზაციას, ჯგუფებსა და ცალკეულ პირებს ჩემი დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით გამოგზავნილი მისალმებისა და მოლოცვისათვის.

კ. ვოროშილოვი

1941 წლის 7 თებერვალი.

ლიტვის კ. პ. (ბ) V ყრილობა — ამხანაგ ი. ბ. სტალინს

მშობლიურო და საყვარელო ამხანაგო სტალინ!

ჩვენ, დელეგატები, შევიკრიბენით რა თავისუფალ საბჭოთა ლიტვაში ლიტვის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) V ყრილობაზე, მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, მშრომელთა ბელადსა და მეგობარს, მარქს-ენგელს-ლენინის საქმის დიად განმგრძობს.

თქვენი სახელი, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მუდამ აღგვაფრთოვანებდა ჩვენ ლიტველი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის საბრძოლველად. ლენინურ-სტალინური პარტიის დროშით იბრძოდა და გაიმარჯვა ლიტვის მშრომელმა ხალხმა.

შეუერთდნენ რა 193-მილიონიანი საბჭოთა ხალხის მეგობრულ მრავალეროვან ოჯახს, ლიტვის მშრომელები დიდი სიხარულისა და ენტუზიაზმის გრძნობით დაადგნენ სოციალისტური მშენებლობის გზას. ამან აშკარად იჩინა თავი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს—1941 წლის 12 იანვარს, როდესაც მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს და ცხადჰყვეს თავიანთი მზადყოფნა იბრძოლონ კომუნიზმის საქმისათვის, თქვენდამი, ამხანაგო სტალინ, სიყვარულისათვის.

ლიტვის რესპუბლიკის წინაშე დასახულია უაღრესად რთული და პასუხსაგები ამოცანა — ეკონომიურად და კულტურულად დაეწიოს საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებს, რომლებიც ამ მხრივ ძალიან წინ წავიდნენ. ამ მუშაობის პირველ ეტაპს წარმოადგენს 1941 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულება. პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ მთელს ჩვენს ძალას და ენერგიას ამ დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის შესრულებას მოვახმართ.

მტრები განადგურებული არიან, მაგრამ საბოლოოდ როდი არიან მოსპობილნი. ისინი წინააღმდეგობას გაუწევენ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას, ამიტომ ჩვენს მუშაობაში ჩვენ უნდა დავიცვათ უდიდესი სიფხიზლე—ბოლშევიკის ის ძვირფასი თვისება, რომელსაც გვასწავლიდით და გვასწავლით თქვენ, ამხანაგო სტალინ.

ლიტვის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) V ყრილობა სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ იგი უსაზღვროდ ერთგულია ბოლშევიკთა პარტიის გენერალური ხაზისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოსი.

ჩვენ დიდად ვამაყობთ იმით, რომ ლიტვის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) დიადი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ერთერთ რაზმს წარმოადგენს.

ჩვენ დაუღალავად, მთელი ბოლშევიკური მგზნებარებითა და ენერგიით ვიმუშავებთ, რათა გავამართლოთ მაღალი პატივი — ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ თქვენი ხელმძღვანელობით, ჩვენო მშობლიურო და საყვარელო სტალინ.

გაუმარჯოს დიად საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

მრავალ და მრავალ წელს სცოცხლობდეს ჩვენი ბელადი, მეგობარი და მასწავლებელი, მშობლიური სტალინი მთელი მსოფლიოს მშრომელი კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ!

ლიტვის კ. პ. (ბ) V ყრილობა

კაუნასი, 6 თებერვალი (საქდესი). ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. სნეჩკუსმა ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში ილაპარაკა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღწეულ პირველ წარმატებებზე. განხორციელდა მიწის, მსხვილი სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების, ტრანსპორტის, ბანკების, დიდი სახლების ნაციონალიზაცია. 40 ათასზე მეტმა უმუშევარმა მიიღო სამუშაო. თვიდან თვემდე დიდდება პროდუქციის გამოშვება. საქონლის წარმოება საბჭოთა ხელისუფლების დროს 45 პროცენტით გაიზარდა.

— ჩვენს წინაშე, — ამბობს ამხ. სნეჩკუსი, — დგას საბრძოლო ამოცანა — გადავაქციოთ ეკონომიურად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა მდიდარ ინდუსტრიულ რესპუბლიკად. წელს მთავრობა ახალი მშენებლობისათვის ხარჯავს 260,5 მილიონ მანეთს. იმ სახსრებთან ერთად, რასაც ადგილობრივი აღმასკომები გაიღებენ ეს თანხა 300 მილიონ მანეთს მიაღწევს. ბურჟუაზიულ ლიტვაში მთელ მშენებლობაზე გაწეული ხარჯის სარეკორდო წლიური თანხა მხოლოდ 94 მილიონ მანეთს აღწევდა.

შემდეგ ამხ. სნეჩკუსი დაწვრილებით შეჩერდა სოფლის მეურნეობის საკითხებზე. უმიწო და მცირემიწიანმა გლეხებმა მიიღეს 393.778 ჰექტარი მიწა და 20 მილიონი მანეთი კრედიტი მეურნეობის მოსაწყობად. გლეხობას დახმარება ეწევა თესლით, კონცენტრირებული საკვებით. ამ გაზაფხულზე ლიტვაში შეიქმნება პირველი მტს-ები, რომლებიც გლეხებს დაეხმარებიან დაამუშაონ მინდვრები, დასთესონ, აიღონ მოსავალი. გასულ წელთან შედარებით ნათესი ფართობი წელს 20 ათასზე მეტი ჰექტარით იზრდება.

მოხსენებაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი პარტიული მშენებლობის საკითხებს. მომხსენებელმა აღნიშნა პარტიული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი რიცხობრივი ზრდა. ამასთან მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიაში მოწინავე მუშების და განსაკუთრებით მუშა-ქალების ჩაბმის საკითხს არასაკმაო ყურადღება ექცეოდა.

ამთავრებს რა მოხსენებას ამხ. სნეჩკუსი ამბობს: — XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენცია სულ რამდენიმე დღის შემდეგ გაიხსნება. ჩვენ საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციას ვხვდებით მარქს - ენგელს - ლენინ - სტალინის უძლეველი დროშის გარშემო მტკიცედ დარაზმულნი. ჩვენი შემდგომ გამარჯვებათა საწინდარია ჩვენი პარტიის განუყრელი კავშირი მასებთან. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, მშრომელთა დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის მეთაურობით ლიტველი ხალხი დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ააშენებს კომუნიზმს.

დღეს დაიწყო კამათი მოხსენების გამო.

გლეხთა დელეგაციების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სადკიავიჩუსმა, რომელმაც განაცხადა:

— მიწისათვის, თავისუფლებისათვის, ნათელი, ახალი ცხოვრებისათვის გულწრფელ მადლობას ვუძღვნით ბოლშევიკების სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას. გთხოვთ ლიტველი გლეხობისაგან გულითადი სალამი გადასცეთ მთელი მშრომელი ხალხის დიდ ბელადს — ამხანაგ სტალინს.

ყრილობამ მისალმება გაუგზავნა ესტონეთის კ. პ. (ბ) IV ყრილობას.

ესტონეთის კ. პ. (ბ) IV ყრილობა

ტალინი, 6 თებერვალი (საქდესი). ესტონეთის კ. პ. (ბ) IV ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. სიარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი ლეგალური არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. რიცხობრივად იგი რამდენჯერმე გაიზარდა და IV ყრილობაზე წარსდგა ორგანიზაციულად განმტკიცებული, ერთიანი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგი სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული.

ესტონეთის კომუნისტურმა პარტიამ თავისი ხელმძღვანელობით უზრუნველჰყო მსხვილი მრეწველობის, ბანკებისა და მიწის ნაციონალიზაციის შესახებ მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ უკვე დიდ წარმატებებს მიაღწია. გაფართოვდა მრეწველობა, ამუშავდა კაპიტალისტების მიერ დაუქმებული საწარმოები, ძირითადად ლიკვიდირებულია უმუშევრობა, წარმოებაში ჩაბმულია 22 ათასზე მეტი ახალი მუშა. საწარმოებში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, იზრდება სტახანოვური მოძრაობა. 56 ათას უმიწო და მცირემიწიან გლეხურ მეურნეობას მიწა დაურიგდა. საბჭოთა მთავრობამ მათ 9 მილიონი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი მისცა.

არსებითად გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობა. გადიდდა ხელფასი. შემოღებულია უფასო მკურნალობა, მუშათა ბევრი ოჯახი სარდაფებიდან და სხვენებიდან შესახლებულია კეთილმოწყობილ ბინებში.

მასების პოლიტიკურ აქტივობას ნათლად მოწმობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები. არჩევნების შედეგებმა საბოლოოდ განამტკიცეს ესტონელი მშრომელი ხალხის ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც მან სსრ კავშირის ხალხთა ძმური დახმარებით მოიპოვა.

გაიხსნა მოლდავეთის კ. პ. (ბ) პირველი ყრილობა

კიშინიოვი, 6 თებერვალი (საქდესი). დღეს წითელი არმიის სახლში გაიხსნა მოლდავეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველი ყრილობა. ყრილობას ესწრება 209 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 70 დელეგატი სათათბირო ხმით. ყრილობის გახსნისას, მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ბოროდინმა აღნიშნა ის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც რესპუბლიკამ მოიპოვა პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით, რასაც მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები.

ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი: მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის არჩევნები, სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. ბოროდინმა.

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ტექსტი მისალმებისა ამხანაგ სტალინისადმი.

საინფორმაციო ცნობა

7 თებერვალს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სუბტროპიკულ კულტურათა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

2. საქ. კ. პ. (ბ) XVIII საკავშირო კონფერენციის დელეგატების არჩევა.

3. საორგანიზაციო საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ხ. გ. ხოშტარია.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: ამხ. პ. კ. თოდუა (საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომი), გ. ნ. კოკაია (გუდაუთის რაიკომი), ს. ი. ბუაძე (ლანჩხუთის რაიკომი), გ. ი. ყურაშვილი (მახარაძის რაიკომი), ი. ლ. დვალი (ქობულეთის რაიკომი), დ. მ. ჟახნაკია (წულუკიძის რაიკომი), ა. გ. ჯიქია (ხობის რაიკომი), ნ. ვ. ბაბუნია (ფოთის საქალაქო კომიტეტი) და მ. ი. ბარამია (საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტი).

კამათის დასასრულს სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანი.**

მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აირჩია საკ. კ. პ. (ბ) XVIII საკავშირო კონფერენციის დელეგატები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივნის მოვალეობის აღმასრულებლად პლენუმმა აირჩია ამხ. **ვ. დ. ბუჯიაშვილი.** (საქდესი).

ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ XVIII პარტკონფერენციას

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა იანვრის გეგმა შეასრულეს

XVIII საკავშირო პარტიული კონფერენციის სახელობის შეჯიბრებამ საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებს ახალი წარმატებანი მოუტანა. საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ შეასრულა თვიური გეგმები.

მთლიანად სახალხო კომისარიატის ხაზით იანვრის გეგმა შესრულებულია 105,4 პროცენტით. იანვარში უნდა გამოეშვათ 3.740,1 ათასი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია, გამოშვებულია 3.944,5 ათასი მანეთის პროდუქცია. საქმთავმანქმრეწვის საწარმოებმა თვიური დავალება 111,0 პროცენტით შეასრულეს. გეგმის შესრულების მხრივ პირველი ადგილი უჭირავთ: ლითონის კონსტრუქციების ქარხანას (დირექტორი ამხ. ნ. უსოვი), რომელმაც იანვრის პროგრამა 165,5 პროცენტით შეასრულა, კალინინის სახელობის ქარხანას (დირექტორი მ. სარქისიანი), რომელმაც პროგრამა შეასრულა 128 პროცენტით და ბათუმის მომთუთიავებელ ქარხანას (დირექტორი ამხ. ზ. კვერგელიძე) — 123,6 პროცენტით.

საქმთავმადნმრეწვმა იანვრის გეგმა 106,8 პროცენტით შეასრულა. სანიმუშოდ მუშაობდნენ საქდიატომიტი (დირექტორი მ. სამონიანი), საქგუმბრინი (დირექტორი დ. ჩიტაძე) და საქანდეზიტი (დირექტორი მ. ჯაფარიძე). (საქდესი).

ვალდებულება განაღდებულია

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში წარმატებით სრულდება საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებები.

საწოლების საამქრომ (უფროსი ამხ. ო. ექტმეხჩიანი) იანვარში, 1.650 საწოლის ნაცვლად, 2.028 საწოლი გამოუშვა.

ლურსმნის საამქრომ იანვრის დავალება 106,5 პროც. შეასრულა. მან 167 ტონა მაღალხარისხოვანი ლურსმნის ნაცვლად 177,8 ტონა დაამზადა. დიდად გააუმჯობესა მუშაობა თუჯის ჩამომსხმელმა საამქრომ, რომელმაც იანვრის გეგმა 115,1 პროც. შეასრულა.

ქარხანამ იანვრის საერთო სასაქონლო პროდუქციის გეგმა 128 პროც. შეასრულა. (საქდესი).

ვალდებულება გაანაღდეს

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა კოლექტივი ახალი საწარმოო აღმავლობით ხვდება საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გახსნას.

ფაბრიკამ იანვრის საწარმოო გეგმა 109,9 პროც. შეასრულა. გამოშვებულია 267,361 ათასი ცალი პაპიროსი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 243.400 ათასისა.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მეორე კორპუსის ჰილზის საამქრომ. გეგმით გათვალისწინებული 89.745 ათასი ცალი ჰილზის ნაცვლად იანვარში საამქრომ გამოუშვა 112.676 ათასი ცალი, ანუ გეგმის 125,6 პროც. (საქდესი).

იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

საქყველკარაქმრეწველობის ტრესტის მუშაკთა კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში, იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ცალკე პროდუქტების მიხედვით: რძის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა შესრულებულია 120 პროცენტით, ყველისა — 110 პროცენტით, კარაქისა — 180 პროცენტით და სხვ.

მთლიანად იანვარში დამზადებულია 45 ათასი მანეთის პროდუქცია (უცვლელ ფასებში), რაც თვიური გეგმის 124 პროცენტს შეადგენს.

საქყველკარაქმრეწველობის ტრესტის მუშაკთა კოლექტივი პირობას იძლევა, რომ 15 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულებს ორი თვის დავალებას.

ვადაზე 14 დღით ადრე

წითელწყაროს მტს-ის კოლექტივმა, რომელიც საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის სახელობის სოციშეჯიბრებაშია ჩაბმული, წარმატებით დაამთავრა ტრაქტორების რემონტი.

ვადაზე 14 დღით ადრე შესრულებულია 2 ტრაქტორის კაპიტალური და 45 ტრაქტორის მიმდინარე რემონტის გეგმა.

წითელწყაროს მტს-ის დირექტორი

მაისურაძე

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ჯარმა ბენგაზი დაიკავა

ლონდონი, 7 თებერვალი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ჯარმა დაიკავა ბენგაზი—ძლიერ გამაგრებული და იტალიის ჯარის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი ლიბიაში.

ბენგაზი მდებარეობს სიდრის ან დიდი სირთის (ხმელთაშუა ზღვა) ყურის ნაპირზე, კირენაიკის დასავლეთით, რომლის დედაქალაქსა და მთავარ ნავსადგურს იგი წარმოადგენს. ქალაქში 35 ათასი მცხოვრებია.

ბენგაზი იტალიის არმიის მომარაგების მთავარი ბაზა იყო კირენაიკაში. ქალაქის რაიონში არსებული უამრავი ოაზისი ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის არმიის დიდი შენაერთების დასაბანაკებლად.

ბენგაზს გარს ერტყმის რამდენიმე რიგი ფორტი, რომლებთანაც იგი რკინიგზის შტოებით არის დაკავშირებული. ბენგაზიდან აღმოსავლეთით, ბარდიისაკენ, დერნასა და ტობრუკზე გავლით, მიდის ასფალტირებული საავტომობილო გზა, კერძოდ, სწორედ ამ გზით სწარმოებდა იტალიის არმიის მომარაგება.

ინგლისის სარდლობის წარმომადგენლის განცხადება ბენგაზის დაკავების გამო

ლონდონი, 7 თებერვალი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის სარდლობის წარმომადგენლის განცხადებას ინგლისის ჯარის მიერ ბენგაზის დაკავებასთან დაკავშირებით. როგორც განცხადებაში ნათქვამია, ბენგაზის დაკავება ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ ამჟამად მთელი კირენაიკა ინგლისელთა ხელშია.

როგორც ყველაფრიდან სჩანს, იტალიელებმა უკანასკნელი დღეების განმავლობაში ხელი აიღეს ფორტებში წინააღმდეგობის გაწევაზე, როგორც ეს ტობრუკსა და ბარდიაში მოხდა, და ბენგაზის გარნიზონმა, ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყო, უკან დახევა ამჯობინა.

მეამბოხე ლეგიონერთა გასამართლება

ბუქარესტი, 7 თებერვალი (საქდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 4 თებერვალს ბუქარესტში გაასამართლეს 40 მეამბოხე ლეგიონერი, რომელთაგან 31 კაცს მიუსაჯეს 3 თვიდან 5 წლამდე პატიმრობა. 9 კაცი სასამართლომ გაამართლა.

სესხად ან იჯარით იარაღის გადაცემის კანონპროექტის გამო

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი (საქდესი). როგორც გაზეთი „უოლ სტრიტ ჯორნელი" იუწყება, ინგლისის წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს გადასცეს 3 მილიარდი დოლარის სამხედრო მასალების სია, რომელთა მიღებაც სურს ინგლისს სესხად ან იჯარით ამერიკული იარაღის გადაცემის კანონპროექტის საფუძველზე, სახელდობრ: სატვირთო გემები, თვითმფრინავები, ტანკები, ზარბაზნები, აგრეთვე დამატებით 2 ათასამდე ყუმბარმშენი.

საფრანგეთის ინდო-ჩინეთისა და ტაის დელეგაციათა გენერალური მდივნების შეხვედრა იაპონიაში

ტოკიო, 7 თებერვალი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ინდო-ჩინეთისა და ტაის დელეგაციათა გენერალური მდივნები ერთმანეთს შეხვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის რეზიდენციაში იაპონიის დელეგაციის გენერალური მდივნის თანდასწრებით. დელეგაციებმა ერთმანეთს წარუდგინეს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მათ რწმუნებებს, ხოლო შემდეგ განხილულ იქნა მოლაპარაკების შემდგომი წესი.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „ᲛᲔᲑᲝᲡᲢᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ" ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ 20 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, („კომუნისტის" საკ. ვორ.). თქვენმა კორესპონდენტმა ინახულა კოლმეურნეობა „მებოსტნეობის გიგანტი", რომელიც მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონშია. ამ კოლმეურნეობამ გადაწყვიტეს ფართოდ აღნიშნონ და იდღესასწაულონ საქართველოს სს რესპუბლიკის ... აქ ჩვენს სამშობლოზე, მის უსაზღვრო სიურცეებზე, მის სიმდიდრეზე! როგორიც ლაპარაკი ჩამოვარდა საქართველოზე. ეს იყო ჯერ კიდევ იანვრის დასაწყისში. საქართველოში არცერთი ჩვენგანი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ სოციალიზმის გამარჯვებებს საქართველოში თითქმის ყველანი ...

[illegible]

... კუთრეულ ფარზე, რომელსაც აგრეთვე აქვს ჩაღრმავებული ადგილები. თუ თქვენ ერთ ზონარსს გაუქეთებთ რუკის რგოლს, ხოლო მეორეს — დაფის რგოლს და სწორად გამოიცნობთ ქალაქს, აინთება ელექტრონათურა. ეს რუკა, რომელიც დადგმულია გეოგრაფიის ჩვენი დიდი ენტუზიასტის ამხ. მინაევის მიერ, გადაიქცა კლუბში მომსვლელი კოლმეურნეების საყვარელ ადგილად. რამდენი ლაპარაკი ყოფილა ... რმუშაკი ამხ. ტაკოევა. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონი დაგვპირდა ამ საღამოსათვის ლიმონის რამდენიმე ხის გამოგზავნას.

ასე ემზადება საქართველოს სს რესპუბლიკის 20 წლისთავისათვის „მებოსტნეობის გიგანტი" — მოსკოვის ოლქის ერთერთი მოწინავე კოლმეურნეობა.

ვ. ᲧᲐᲠᲐ-ᲛᲣᲠᲖᲐ

100 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ

როგორც ვწერდით, 9 და 10 იანვარს „კომუნისტის" რედაქციის ინიციატივით ენგურქაღალდკომბინატში ჩატარებულ იქნა პარტიულ-ტექნიკური კონფერენცია. კონფერენციაზე სიტყვებით გამოსულმა კომბინატის მუშაკებმა შემოიტანეს მრავალი რაციონალიზატორული წინადადება, მიმართული ქაღალდ-ცელულოზის წარმოებაში ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვისა, წარმოების ათვისებისა და გეგმების წარმატებით შესრულებისაკენ.

[illegible] ... უფროსი), ტ. ყუფუნიას (ცელულოზის ქარხნის უფროსი), გ. სართანიას (საქვაბე საამქროს უფროსი, პარტბიუროს მდივნის მოადგილე) შემადგენლობით.

როგორც კომბინატიდან გვაცნობეს, კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა, მან განიხილა წარმოდგენილი 45 წინადადება და მათგან მისაღებად ჩასთვალა ცამეტი.

კომისიის გამოანგარიშებით, მიღებული წინადადებების განხორციელება წარმოებას წლიურ ... [illegible] ... 100.058 მანეთის ეკონომიას. [illegible]

ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებით. 1944 წლის დამლევისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ლიმონის პლანტაციების ფართობი ავსებით უნდა იქნას 10.500 ჰექტარამდე, ფორთოხლისა კი — 7.500 ჰექტარამდე.

[illegible] ... ვით ინსტიტუტში ლიმონის ხის ტოტებზე დამყნილ იქნა გრეიპფრუტი და ფორთოხალი, რამაც კარგი შედეგი მოგვცა.

ნესტიანი სუბტროპიკული კულტურების სოხუმის სასელექციო სადგურის მუშაკებმა ამ ცდებს ფართოდ მოჰკიდეს ხელი. ახალი ... [illegible] ... იქნენ დატოვებული, 1940 წელს მანდარინის 44 ხეზე ნამყენმა მოგვცა ყვავილი და 406 ნაყოფი. ფორთოხლის ეს ნაყოფები საუკეთესოდ განვითარდნენ, სიდიდით 2-3-ჯერ აღემატებოდნენ ჩვეულებრივ ნაყოფს და გემოც საუკეთესო აღმოჩნდა. გარდა ამისა ... [illegible]

მანდარინზე დამყნილი ფორთოხლის კვირტიდან განვითარებული ასობაყარი ფსირცხის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომ საზიკინის ხელმძღვანელობით [illegible]

... ფორთოხლის 50.000 კვირტი, ლიმონის ტოტებზე კი — ლიმონის 50.000 კვირტი. ცალკე ფსირცხის საბჭოთა მეურნეობაში გეგმით მანდარინის ხეების ტოტებზე დაიმყნობა ფორთოხლის 10.000 კვირტი, ლიმონისა კი — ლიმონის ხეებზე 3.000 კვირტი.

პირობას ვიძლევით, რომ ამ დავალებას შევასრულებთ საუკეთესოდ. გარდა ამისა, ტოტებზე მყნობის ახალი წესით მეურნეობაში სამი წლის ვადაში უზრუნველვყოფთ ციტრუსთა ყველა ნარგავის გადაქცევას საუკეთესო ჯიშის უხვმოსავლიან ხეებად, მივაღწევთ ძვირფასი ჯიშის ფორთოხლისა და ლიმონის კალმებისა და ნაყოფის დიდი რაოდენობით მიღებას.

ტ. ᲭᲝᲭᲣᲐ

აფხაზეთის ასსრ ფსირცხის საბჭოთა [illegible]

ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲨᲘ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 6 თებერვალი (საკდესი). გაზეთი „ვრემე" იუწყება, რომ 5 თებერვალს იტალიის ჯარმა ტეპელენეს ევაკუაცია დაიწყო. ქალაქში დიდი ხანძარი გაჩნდა.

ფრონტზე ვალონის მახლობლად ბერძენთა ჯარმა დაიკავა მაღლობები, სადაც იტალიელთა სიმაგრეები იყო.

ᲝᲛᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 6 თებერვალი ... [illegible] ... ყოფად მრავალი დანაღმული არე ...

[illegible]

... ვიგდეთ ყველა სახის სამხედრო საჭურველი. ჩვენი ზარალი ოპერაციების დროს ამ ფრონტზე უმნიშვნელოა.

აბისინიაში წარმატებით მივიწევთ მეტემა-გონდარის გზით, მიუხედავად იმისა, რომ მტერმა თავისი უკუქცევის უზრუნველსა- ... ბრძოლაში ჩამოგდებულია იტალიის სულ ცოტა 3 თვითმფრინავი, რამდენიმე თვითმფრინავი დაზიანებულია. ბომბარდირებამ უმნიშვნელო ზარალი გამოიწვია.

ყველა ოპერაციის შემდეგ ინგლისის თვითმფრინავები, 2 თვითმფრინავის გარდა, ბაზებში დაბრუნდნენ.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 6 თებერვალი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო რომიდან იუწყება, რომ იტალიის სათანადო ორგანოები სრულიად კატეგორიულად უარყოფენ საზღვარგარეთ გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, ვითომც სამრეწველო კონფედერაციის პრეზიდენტი ვოლპი ლონდონს თუ ვიშს წავიდა იმისათვის, რომ შეათანხმოს აბისინიაში მცხოვრები 100.000-დან 200.000-მდე იტალიელის ევაკუაცია აბისინიიდან.

ᲙᲘᲜᲒᲡᲚᲘ ᲕᲣᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 6 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ფინანსთა მინისტრმა კინგსლი ვუდმა თემთა პალატას დასამტკიცებლად წარუდგინა კანონპროექტი სამხედრო ხარჯების დასაფარავად 600 მილიონი გირვანქა სტერლინგისა და 1 მილიარდი გირვანქა სტერ- ... გამოყოფილ თანხას წლიწადში 3.300 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე ადიდებს.

შემდეგ ვუდმა აღნიშნა, რომ წლის განმავლობაში ომის ყოველდღიური ხარჯი გაორკეცდა, ხოლო 1940 წლის ოქტომბრიდან, ე. ი. იმ მომენტიდან, როდესაც თემთა პალატა კრედიტების გა- ... [illegible]

... (600 მილიონი გირვანქა) და ხარჯების დასაფარავად მომავალ საფინანსო წელს, რომელიც 1941 წლის 1 აპრილს იწყება (1 მილიარდი გირვანქა). პირველი კანონპროექტი სამხედრო სამინისტროსათვის, ავიაციის სამინისტროსა და საზღვაო სამინისტროსათვის ... [illegible] ... მოდგინე შესწავლის შემდეგ, დარწმუნდა, რომ საფრთხე ერთობ გაზვიადებული იყო, მაგრამ, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — განზრახვა არა მაქვს სათანადოდ არ შევაფასო სიძვირის დიდი ზრდის საშიშროება.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 6 თებერვალი (საკდესი). როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბელგიის საელჩოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბელგიის კონგოში შედგენილია ბელგიელთა არმია 90 ათასი კაცის რაოდენობით. ამ რიცხვიდან რამდენიმე დივიზია გაიგზავნა კენიაში ინგლისის ჯართან ერთად სამოქმედოდ. ბელგიის საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში საომარ მასალებს იძენს იმ ოქროს ხარჯზე, რომელიც ბელგიის კონგოს ეკუთვნის.

ᲒᲔᲒᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲨᲢᲣᲠᲛᲝᲕᲨᲩᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ!

(ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲗᲥᲚᲛᲐᲕᲐᲚ-ᲕᲐᲒᲝᲜᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ)

იქ, სადაც მუშაობის რიტმი ნორმალურია, სამეურნეო წლის თუ თვის პირველი დღეებიდანვე იწყება გეგმაშეზომილი, დინჯი, სერიოზული და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ბეჯითი მუშაობა საწარმოო გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. მაგრამ როგორც გაზეთი „პრავდა" სწერდა, ჩვენ ცოტა საწარმოები როდი მოგვეპოვება, სადაც თვის პირველი დღეებიდან ხელშეშვებით მუშაობენ, ხოლო შემდეგ, თვის დასასრულს შტურმოვშჩინის გზით ცდილობენ შეავსონ დაკარგული დრო, რომ შეასრულონ საწარმოო დავალება.

... თვალნათლივ მჟღავნდება სამგზავრო ვაგონების შეკეთების მაგალითზე. ოქტომბრის პირველსა და მეორე დეკადაში არცერთი ვაგონი არ შეუკეთებიათ, მთელი თვის გეგმა მესამე დეკადაში შეასრულეს. ნოემბერსა და დეკემბერში თითქოს ტყუილ-უბრალოდ არ ჩაუვლია პირველსა და მეორე დეკადებს, მაგრამ თუ ნოემბრის პირველ ორ დეკადაში შეკეთებული ვაგონების რაოდენობას 100 პროცენტად მივიღებთ, მაშინ მესამე დეკადაში შეკეთებული ვაგონების რაოდენობა 1200 პროცენტს, ხოლო დეკემბრის მესამე დეკადისა — 700 პროცენტს შეადგენს.

[illegible]

... მყარების, წარმოების მაღალი კულტურის დანერგვის, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის, საწარმოო დავალებათა მაღალხარისხოვნად და გადაჭარბებით შესრულების საქმეში. ამის შესაძლებლობა ქარხნის კოლექტივს მოეპოვება.

ᲐᲜ. ᲙᲔᲚᲔᲜᲯᲔᲠᲘᲫᲔ
პ. ᲭᲘᲝᲙᲐᲫᲔ

[library stamp]

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკურად აღვზარდოთ ერთეული კომუნისტები

ბოლშევიკურად წარვმართოთ ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის რაიკომში აღრიცხვაზე ითვლება 40 ერთეული კომუნისტი, მათ შორის საქ. კ. პ. (ბ) წევრია 30 კაცი, ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატი — 10.

რაიკომი სუსტად მუშაობს ერთეულ კომუნისტებთან. როგორც შემოწმებით გამოირკვა, რაიკომის ბიურომ 1940 წლის განმავლობაში ერთხელაც არ განიხილავს ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის საკითხი.

რაიკომს დღემდე არ მოეპოვება ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი ამხანაგი სად მუშაობს. მაგალითად, 1940 წლის მაისიდან დღემდე ვერ იქნა გამორკვეული, თუ სად იმყოფებიან ს. ს. საზანბაევი (საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, შოფერი), ლ. მურადიანი (საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი), ა. გ. სხირტლაძე (საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან), ი. ს. ხომასურიძე (საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან). კიდევ მეტი, 1940 წლის აგვისტოში ამხ. ბოჭორიშვილი, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან, ჩკალოვის ოლქში წავიდა და დღემდე არ არის პარტორგანიზაციიდან გადამაგრებული.

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ დროს რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებამ თავის გარშემო შემოიკრიბა 18-20 ერთეული კომუნისტი. თვეში ერთხელ ატარებს თათბირს, აცნობს მათ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს. ერთეულ კომუნისტთა ნაწილი მიმაგრებულია პარტკაბინეტზე, სადაც ისინი ისმენენ ლექციებსა და კონსულტაციებს ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესახებ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საქმეში რაიკომი დიფერენცირებულ მიდგომას არ იცავს.

ზოგიერთი ერთეული კომუნისტი სუსტად მუშაობს იდეური დონის ამაღლებისათვის. მაგალითად, პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ი. მ. ლომსაძე, ა. კ. ნიაზოვი და სხვ. მიმდინარე პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევიან.

არიან პარტიის წევრობის ისეთი კანდიდატებიც, რომლებსაც დიდი ხანია გაუთავდათ საკანდიდატო სტაჟი (ლ. მურადიანი, ს. ს. გურგენიძე, ა. გ. სხირტლაძე)

საჭიროა რაიკომმა მკვეთრად გააუმჯობესოს ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა, ყოველმხრივ დაეხმაროს მათ პრაქტიკულ მუშაობაში, საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლაში.

ა. იოსავა

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორი.

რაიკომი სუსტად მუშაობს ერთეულ კომუნისტებთან

პარტიულ მუშაობაში ერთერთ სერიოზულ უბანს წარმოადგენს ერთეული კომუნისტების აღზრდა. პარტიის რაიკომები დაუღალავად უნდა მუშაობდნენ ერთეულ კომუნისტებთან, უნდა წარმართავდნენ მათს მუშაობას.

სამწუხაროდ, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი პარტიული ცხოვრების ამ უბანს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. რაიკომში აღრიცხვაზე აყვანილია 34 ერთეული კომუნისტი, მათ შორის პარტიის წევრია 29 კაცი, ხოლო კანდიდატი — 5. რაიკომმა 13 თვის განმავლობაში ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის საკითხი მხოლოდ ერთხელ განიხილა. გარდა ამისა, რაიკომის მუშაკების განცხადებით 1940 წლის განმავლობაში ორჯერ ჩატარებულია ერთეული კომუნისტების თათბირი, რის შესახებაც რაიკომში არავითარი მასალა არ ინახება.

34 ერთეული კომუნისტიდან მესაუბრე მქონდა 17 ამხანაგთან— მათ შორის ამხ. ე. კ. სიმონიანთან (საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან), ა. შულმანთან (საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1919 წლიდან), ნ. კრავცევიჩთან (საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან), ნ. ყურაშვილთან (საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1927 წლიდან) და სხვ. საუბრიდან გამოირკვა, რომ ისინი სავსებით მოსწყდნენ პარტიულ ცხოვრებას, არ ესწრებიან პარტიულ კრებებს. რაიკომს ისინი არ გამოუძახებია, მათთან არავითარი საუბარი არ ჩაუტარებია. არცერთ მათგანს არა აქვს რაიმე პარტიული დავალება. ასე, მაგალითად, ამხ. ი. ს. ჯავახიშვილი წელიწადნახევარია ითვლება ერთეულ კომუნისტად და ამ ხნის განმავლობაში რაიკომიდან მასთან არავინ ჰისულა, არც გამოუძახებიათ. ამის გამო დღემდე ამხ. ჯავახიშვილს არავითარი პარტიული დავალება არა აქვს, ის ერთეულ კომუნისტთა თათბირს არ დასწრებია. უმეტესად ერთეულ კომუნისტებს უკავშირდებიან მხოლოდ საწევრო ანარიცხების გადასახადის აკრეფის დროს.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა, აქტიურად ჩააბას ისინი პარტიულ - პოლიტიკურ მუშაობაში, დაეხმაროს მათ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში.

ვ. ცაგურია

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორი.

გადაჭრით გავაუმჯობესოთ ერთეულ კომუნისტებთან მუშაობა

ცნობილია, რომ კომუნისტი მასების მეთაურია. იგი უნდა განუმარტავდეს უპარტიო მასებს პარტიის გადაწყვეტილებათა აზრს, რაზმავდეს მათ ამ გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის. იმისათვის, რომ საქმით იყოს მოწინავე მებრძოლი, პარტიის წევრი ვალდებულია გულმოდგინედ იმუშაოს საკუთარი შეგნების ამაღლებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმად შესწავლისათვის. ეს მოთხოვნა სავსებით შეეხება ერთეულ კომუნისტებსაც.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე ამბობდა: „...რაიონულ კომიტეტებს ყოველდღიური კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთეულ კომუნისტებთან, უნდა ეხმარებოდნენ მათ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში და წარმართავდნენ მათს მუშაობას".

შეიძლება ითქვას, რომ საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომმა ერთეულ კომუნისტებთან ერთგვარად გააუმჯობესა მუშაობა. არიან ერთეული კომუნისტები, რომლებიც კარგად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე. პარტრაიკომმა ბევრი მათგანი საპასუხისმგებლო სამუშაოზე დააწინაურა. მაგალითად, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად ერთეული კომუნისტებიდან დაწინაურებულ იქნა 25 ამხანაგი, საკოლმეურნეო ფერმის გამგედ — 4, მოანგარიშედ — 3 და ა. შ.

მაგრამ დუშეთის პარტრაიკომს ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის დარგში ნაკლოვანებებიცა აქვს. აღნიშნულ რაიონში აღრიცხვაზე იმყოფება, როგორც ერთეული კომუნისტი, პარტიის 40 წევრი და პარტიის წევრობის 47 კანდიდატი. 27 ერთეული კომუნისტის შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ზოგიერთი ერთეული კომუნისტი მოწყვეტილია პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას, ვერ ერკვევა მიმდინარე პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებში, სუსტად მუშაობს პარტიის ისტორიის შესწავლისათვის. ზოგიერთი ამხანაგი მცირემცოდნეა და ჩაბმული არ არის მცირემცოდნეთა სკოლებში.

მაგალითად, რ. მურღული (პარტიის წევრობის კანდიდატი) მუშაობს ოძილისში ჯრთერთი კოლმეურნეობის სავაჭრო წერტის მოანგარიშედ. იგი მოწყვეტილია საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომს 1939 წლიდან, არ მუშაობს თავისი იდეურ - პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, რაიკომში ცხადდება 3 თვეში მხოლოდ ერთხელ პარტიის საწევრო გადასახადის გადასახდელად. კიდევ მეტი, ამხ. თ. ციხელაშვილი (პარტიის წევრი) ცხოვრობს სოფელ ჯიქურანთკარში, მუშაობს ამ სოფლის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც იგი ვერ ასრულებს ავანგარდულ როლს. 1940 წლის მანძილზე მან გამოიმუშავა მხოლოდ 240 შრომადღე. ეს მაშინ, როდესაც ზოგიერთ უპარტიო ამხანაგს 400-დან 450-მდე შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული.

პარტიის თვითეული წევრი და წევრობის კანდიდატი ვალდებულია არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას პარტიის საწევრო გადასახადის შეტანის გაჭიანურება. მაგრამ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთეული კომუნისტები პარტიის საწევრო გადასახადს დროულად არ იხდიან. მაგალითად, ამხ. წიკლაურმა (პარტიის წევრი) 5 თვის ერთად გადაიხადა, ამხ. ბურდულმა (პარტიის წევრობის კანდიდატი) — 6 თვის და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) სარხერისა და ჭიათურის პარტრაიკომები სერიოზულ მუშაობას ატარებენ ერთეულ კომუნისტებთან. ერთეულ კომუნისტთა შორის გამოირჩევიან ისეთები, რომლებმაც საქმით გაამართლეს პარტიის დავალება თავიანთ სამუშაო უბნებზე. ჭიათურის პარტრაიკომმა ერთეული კომუნისტებიდან 26 ამხანაგი სხვადასხვა სამუშაოზე დააწინაურა. ასე, მაგალითად, მასწავლებლები მ. ხვედელიძე, შ. ბენიაშვილი, რ. ტყემალაძე და ე. ბიწაძე დაწინაურებული არიან სკოლის დირექტორად და სასწავლო ნაწილის გამგეებად, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები მ. ფხალაძე და ბლიაძე — სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეებად.

ამასთანავე მუშაობაში არის ნაკლიც. საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომი მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის ითვლიდა 94 ერთეულ კომუნისტს, ხოლო პირველ თებერვლისათვის 68-ს, რომელთაგან პარტიული დავალება არა აქვს 14 ამხანაგს. პარტრაიკომი გასული წლის ნოემბრამდე სუსტად მუშაობდა ერთეულ კომუნისტებთან, რის გამოც ისინი ცუდად ერკვევიან პარტიის წესდების საკითხებში და არასაკმაოდ მუშაობენ „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) სარხერის რაიონულ ორგანიზაციაში მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის 128 ერთეული კომუნისტი ირიცხებოდა. ეს იმით აიხსნება, რომ სარხერის პარტრაიკომმა არ ჩამოაყალიბა პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტსაკანდიდატო ჯგუფები იქ, სადაც ამის შესაძლებლობა დიდი ხანია არსებობს.

სარხერის რაიონში 1939 წლის სექტემბრიდან დღემდე პარტიის წესდების საფუძველზე შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო 10 პარტსაკანდიდატო ჯგუფი, 4 პირველადი პარტიული ორგანიზაცია და ერთი პარტკომკავშირული ჯგუფი, რომლებშიც ერთეული კომუნისტებიდან 77 ამხანაგი გაერთიანდებოდა.

მაგალითად, სოფ. სარხერის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც პარტიის სამი წევრი და პარტიის წევრობის ერთი კანდიდატი მუშაობს, თავისუფლად შეიძლებოდა შექმნილიყო საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

სარხერის პარტრაიკომს ერთხელაც არ მოუწვევია ერთეული კომუნისტების თათბირი, არ ეხმარება მათ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში. 128 ერთეული კომუნისტიდან პარტიული დავალება არა აქვს 88 ამხანაგს. ამხანაგური საუბრის დროს გამოირკვა, რომ პარტიის ისტორიისა და წესდების საკითხებში ვერ ერკვეოდა 38 ამხანაგი, აქედან პარტიის წევრობის კანდიდატია 23 ამხანაგი. გარდა ამისა, ერთეული კომუნისტების უმრავლესობა არ ესწრება ლექციებს, კონსულტაციებს და ა. შ.

დუშეთის, სარხერისა და ჭიათურის რაიონებში ნაკლებად ხდება მუშაობის გამოცდილების გაზიარება და მუშაობაში ერთეული კომუნისტების ინიციატივის გამოვლინება, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ ეს რაიკომები საკმაოდ არ მუშაობენ ერთეულ კომუნისტებთან. პარტიის რაიკომები უფრო მეტად უნდა დაეხმარონ ერთეულ კომუნისტებს როგორც პრაქტიკულ მუშაობაში, ისე იდეური დონის ამაღლების, ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში.

გ. დოლიძე
შ. ვასილცევი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორები.

თბილისი. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის სახარატო საამქროს აგიტატორი გ. მელაძე გაზეთს უკითხავს მსმენელებს საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ფოტო ი. ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის პლენუმი

სტალინირი („კომუნისტის" კორ.). შესდგა საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: 1. რაიონში პარტიული პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ, 2. სტალინირის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში 1940 წლის 25 დეკემბრიდან 1941 წლის 30 იანვრამდე პარტიაში მიღების ხაზით გაწეული მუშაობის შესახებ და 3. ორგანიზაციული საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ი. ჯიოევი. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 9 კაცმა. პლენუმმა შემდეგ მოისმინა მოხსენება პარტიაში მიღების ხაზით 1940 წ. 25 დეკემბრიდან 1941 წ. 30 იანვრამდე ჩატარებული მუშაობის შესახებ.

აღნიშნულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. რ. ლაზარაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მეორე მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ლ. ჯიოევი.

ვ. ტყემალაძე

შალვა [illegible]

გოდოგნის ლოდი რუსთაველის პროსპექტზე

გოდოგნის კლდეო, პიტალო,
ჩამოღვარულო სისხლითა,
რამდენი ჩამოგითვალო
მტერი ნასხლეტი ისრითა;
რამდენი წყარო გიგალობს —
მაინც არ ჩამოიწრიტა.

გოდოგნის კლდეო, ამაყო,
შენ, გალავანო ქვისაო,
გელათის ციხე-ქალაქო,
საუნჯევ დავითისაო;
ბრძოლებით შემონანახო,
სიწმინდევ გმირობისაო.

გახსოვს ბუკი და ნაღარა
სოლომონ პირველისაო,
ხრესილზე გადმოატარა
ლაშქარი იმერისაო;
წყალწითელაში ჩაჰყარა
ფარ-ხმალი ძლეულ მტრისაო.

გულმკერდა თეთრო ფიქალო,
ნაგებო ბროლის კლდისაო,
დაურიდალო გრიგალო
რიონის ხეობისაო,
მისმინე, სიტყვა გაკადრო
უბრალო ქართველისაო:

დღეიდან დაგეპატრონა
გვირგვინი რუსთველისაო,
რა მოგკლავს, რა დაგაბერებს,
ქუხილი არის ცისაო.
შენ გადაჩრდილე მაღალი
მწვერვალი მყინვარისაო,
ბროლის ფიქალო, პიტალო,
მშობლიურ გოდოგნისაო.
გასცდება ქამთა ნაპირებს
სიმღერა იმა ყრმისაო,
ავთანდილ გადინადირებს,
დაჯდება წყაროს პირსაო;
მწვადს შესწვავს, მარად გიგალობს,
როგორც წესია თქმისაო,
გოდოგნის თეთრო ფიქალო,
სხივი აისხი მზისაო.

შენი აქ ჩამობრძანება
ლხინია თბილისისაო,
სრულდება დიდი ბრძანება
საყვარელ ბელადისაო:
შოთაი გამოითალოს
იმ შენი თეთრი ქვისაო,
გოდოგნის ლოდო, პიტალო,
გული ჩაიდგი მზისაო!

წულუკიძის სახლ-მუზეუმში

ქუთაისი, 6 თებერვალი (საქდესი). წულუკიძის სახლ-მუზეუმში მიიღეს ახალი ექსპონატები, რომელნიც დიდი სტალინის თანამებრძოლის — საშა წულუკიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობის ცალკეულ დეტალებს გვიხატავენ. ექსპონატებს შორის არის ვერცხლის მედალი, რომელიც საშა წულუკიძემ მიიღო 1899 წლის 10 აპრილს მოსკოვში სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების გამო. მიღებულია 20 სხვადასხვა სამეცნიერო წიგნი; მათს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მარქსის კაპიტალის პირველი ტომი და ფრიდრიხ ენგელსის ნაწარმოები „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა". ყველა ამ წიგნში უხვად აქვს ჩაწერილი წულუკიძეს შენიშვნები, რაც მოწმობს მის ღრმა თეორიულ მუშაობას აღნიშნულ ნაწარმოებებზე. სახლ-მუზეუმის ეს ახალი ექსპონატები მნახველთა უდიდეს ყურადღებას იწვევენ.

○

4 თებერვალს წულუკიძის სახელობის სახლ-მუზეუმის ბაღში დამთავრდა საშა წულუკიძის ძეგლის დადგმა.

ეფრემოვული მოძრაობა უხვი მოსავლისათვის

მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ-ქალთა თათბირზე 1935 წლის 1 დეკემბერს ხალხთა საყვარელმა ბელადმა დიდმა სტალინმა ამოცანად დაგვისახა: უახლოეს მომავალში საბჭოთა კავშირში მარცვლეულის ყოველწლიური მოსავალი ავიყვანოთ 7-8 მილიარდ ფუთამდე.

ამ მოწოდებამ მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ დარაზმა მასები მარცვლეულის უხვი და მყარი მოსავლისათვის ბრძოლაში. დიადი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში გაჩაღდა სოცშეჯიბრება მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებით ახალ წარმატებათა უზრუნველსაყოფად. მალე მიღწეულ იქნა შესანიშნავი შედეგი, ბევრგან მიიღეს მაღალი და მყარი მოსავალი.

სარეკორდო მოსავლისათვის ბრძოლის საფუძველზე ალტაის მხარის ბელოგლაზოვის რაიონში წარმოიშვა შესანიშნავი მოძრაობა, რომელსაც ეფრემოვულ მოძრაობას უწოდებენ. ბელოგლაზოვის რაიონში, სადაც წლიდან წლამდის მარცვლეულის მცირე მოსავალი მოდიოდა, კოლმეურნეობა „ისკრას" მერგოლემ ამხ. მ. ეფრემოვმა 1936 წელს ჰექტარზე 360 ფუთი ხორბალი მიიღო, კოლმეურნეობა „მოლოდაია გვარდიაში" ამხ. ჩუმანოვმა — 300 ფუთი, კოლმეურნეობა „ნოვი ჩარიში" ამხ. რაკიტინმა — 216 ფუთი. ამდენივე მარცვლეული მიიღეს ჰექტარზე კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ.

ეფრემოვული მოძრაობა ფართოდ გავრცელდა როგორც ალტაის მხარის, ისე სხვა მხარეთა კოლმეურნეობებში. მაგალითად, მარტო 1939 წელს ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეებში, აგრეთვე ომსკისა და ჩელიაბინსკის ოლქებში უკვე მოწყობილი იყო 12.500 ეფრემოვული რგოლი, რომლებმაც ერთ მილიონ ჰექტარამდე ფართობი დაამუშავეს და ჰექტარზე უზრუნველჰყვეს 40-80 ცენტნერი მარცვლეულის მიღება.

რაში მდგომარეობს ეფრემოველთა წარმატების საიდუმლოება, რით შესძლეს მათ მიეღოთ მარცვლეულის უხვი მოსავალი ამინდის ყოველგვარ პირობებში?

ეფრემოველები ცდილობენ ისე გაანაწილონ მცენარეები ფართობებზე, რომ მცენარემ რაც შეიძლება პროდუქტიულად გამოიყენოს როგორც სინათლე, ისე საკვები და ტენი. ამ მიზნით ეფრემოველებმა, ჩაცვლად მწკრივებად თესვის არსებული ხერხისა, შემოიღეს ჰადრაკული შევიწროვებული მწკრივთაშორისებით და ფართომწკრივებიანი ლენტისებური თესვა. ამ ხერხით მათ გაზარდეს ფართობზე როგორც მწკრივების, ისე მცენარეთა რაოდენობა.

ეფრემოველებმა ანეულისა და მზრალად მოხნულის ღრმა კულტივაციით უზრუნველჰყვეს ნიადაგის დიდი სინათლის გამტარობა. ნიადაგის ღრმა (22-25 სანტიმეტრის) და საფუძვლიანი დამუშავებით ეფრემოველებმა გააადვილეს ნიადაგში მჟავბადის ჩასვლა და ორგანიულ ნივთიერებათა ხრწნის პროცესი. გარდა ამისა, ეფრემოველებს ბარტყობისა და ამოღერების დროს ნიადაგში შეაქვთ დამატებითი თხევადი სასუქი, რითაც ადიდებენ მცენარისათვის საკვებ ნივთიერებათა მარაგს.

ეფრემოველებმა პრაქტიკით დაამტკიცეს, რომ მაღალი და მყარი მოსავლის მიღებას აქიმეში მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მარცვლეულის სიმსხოს და ღრმად ჩათესვას, რაც ხელს უწყობს ბარტყობის კვანძის ღრმად ყოფნას, გვალვისადმი გამძლეობას და გამრავლებას. ღრმა ხვნით, მიწის ზედაპირის სისტემატური გაფხვიერებით და სხვ. შეიძლება მიღწეულ იქნას ნიადაგში ტენის შენარჩუნება. ეფრემოველებმა მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მიღებით ნათლად გვიჩვენეს, თუ რა წარმატებათა მოპოვება შეუძლიათ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ და მას საკუთარი გამოცდილებით ავსებენ.

ეფრემოველთა გამოცდილების დანერგვასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში წარმოიშვა ასფუთოველთა მოძრაობა, რომლის ინიციატორები არიან ა. გუროვი და გ. კოზლენკოვი (სტალინგრადის ოლქი). 1939 წელს კრასნოდარის მხარეში და დაღისტნის ასს რესპუბლიკაში უკვე მიიღეს საშუალოდ ჰექტარზე 100 ფუთზე მეტი მარცვლეული.

მართალია, საქართველოს ცალკეულ კოლმეურნეობებში გასულ წელს მოაწყეს ეფრემოვული რგოლები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეფრემოველთა მდიდარი გამოცდილების დანერგვის მხრივ ჩვენში ჯერჯერობით ვერ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. სამიწათმოქმედო ორგანოები და ცალკეული კოლმეურნეობები ნაკლებად მუშაობენ ეფრემოვული რგოლების მოწყობაზე. ეს ნაკლი დაჩქარებით უნდა გამოვასწოროთ. ახლა, როცა საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა, განსაკუთრებით საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი კოლმეურნეობებში ეფრემოვული რგოლების მოწყობას, ფართოდ გავაცნოთ მასებს ეფრემოველთა მიღწევები, დავსახოთ და გავატაროთ ყველა ღონისძიება, რაც უზრუნველჰყოფს მაღალი და მყარი მოსავლის მიღებას. ეფრემოველთა მდიდარი გამოცდილების დანერგვის მხრივ მეტად დიდი მუშაობა მართებს ჩვენს ბოლშევიკურ პრესას. პრესაში სისტემატურად და ფართოდ უნდა შუქდებოდეს მარცვლეულის მაღალი მოსავლის ოსტატთა მიღწევები, ეფრემოველთა წარმატებები.

ფართოდ დავნერგოთ ეფრემოვული მუშაობისა და ასფუთოველთა მოძრაობის ინიციატორების გამოცდილება და სოციალიზმის ქვეყანას მივცეთ მეტი მარცვლეული.

ტრ. თოდრაძე

ახალი სარწყავი არხი ქართლში

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას ხაშურისა და ქარელის რაიონებში დოლლაურის ველისა და დედოფლის მინდვრის სარწყავი სისტემის მშენებლობისათვის. ალაზნის არხის შემდეგ ეს სარწყავი სისტემა წყალთა მეურნეობის ყველაზე დიდი ნაგებობა იქნება საქართველოში.

არხი მორწყავს ხაშურის რაიონის 32 კოლმეურნეობის და ქარელის რაიონის 14 კოლმეურნეობის მიწებს 12.800 ჰექტარი საერთო ფართობით.

ახალი არხი საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაფართოოთ სოფლის მეურნეობა ხაშურისა და ქარელის რაიონებში. ორნახევარჯერ გადიდდება მარცვლეული კულტურების მოსავალი და ერთნახევარჯერ — შაქრის ჭარხლის მოსავალი. გადიდდება ბოსტნეულისა და კარტოფილის სათესი ფართობი.

ამჟამად არხის მშენებლობაზე ტრასის გაყვანა მიმდინარეობს. მშენებლობის ადგილზე მიაქვთ ხე-ტყე და სხვა მასალები. შენდება დამხმარე ნაგებობანი. (საქდესი).

გ. ქირვალიძე

საქ. კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის მდივანი.

მევენახეობისა და მეხილეობის ფართოდ განვითარებისათვის

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს ბოლშევიკების მოქმედების საბრძოლო პროგრამაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში ახალ გამარჯვებათა მისაღწევად.

ახალციხის რაიონის პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს მტკიცედ ახსოვთ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითება იმის შესახებ, რომ „მევენახეობა ჩვენში უნდა ვითარდებოდეს საქართველოს ყველა რაიონში და პირველ რიგში განსაზღვრულ სექტორში". მევენახეობის განვითარებისათვის ახალციხის რაიონს ყველა პირობა და შესაძლებლობა აქვს. ძველ მესხეთში კულტურულად განვითარებული მევენახეობის ფართოდ გავრცელებას ადასტურებს ისტორიული ნაშთების ფრიად მნიშვნელოვანი რაოდენობა

მინდვრის სამუშაოების დროს მესხეთის ყველა რაიონში (ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებში) დიდ სიღრმეზე პოულობენ ქვევრებს, ხოლო ა. წ. გაზაფხულზე ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში აღმოჩენილ იქნა ქვევრები ღვინით, რომელიც დროის გავლენისა და გრუნტის წყლების გაჟონვის გამო დეფორმირებული აღმოჩნდა. ახალციხისავე რაიონის სოფ. ცირაში სამი მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა მარანი პრიმიტიული მოწყობილობით, ქვებისაგან გაკეთებული საწნახელი, განსაკუთრებული რეზერვუარი ტკბილისათვის და ჰაჭის გამოსაწური ქვა.

გარდა ამისა, ამას ადასტურებს აგრეთვე რაიონის ადგილების ისტორიული სახელწოდებანი, მაგალითად: „ნაზვრევი", „ნავენახევი", „ბაღები", ვაზის კულტურის დამახასიათებელი გრანდიოზული ტერასები და, ბოლოს, ძველი ვენახების ნაშთები, რომლებსაც მესხეთის ბევრ ადგილას ვხვდებით. მარტო ახალციხის რაიონში აღრიცხულია ძველი ვენახების 900-მდე ვაზი.

ძველი დროიდან დარჩენილ ვენახებს შორის განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ვენახები ახალციხის რაიონის სოფელ ტურცხში, რომლებიც სრული მოუვლელობის პირობებში ყოველ წელს იძლევიან მოსავალს.

არასრული გამოკვლევით დადგენილია ძველი ადგილობრივი ჯიშები: „ცხენის ძუძუ", „თითა", „ხარისთვალა" და სხვ. წინასწარი ცნობებით, ზოგიერთ მათგანს სამრეწველო მნიშვნელობა აქვს და სავსებით გამოსადეგია მეღვინეობისათვის.

ამ ისტორიული ცნობების საფუძველზე და საქართველოს ყველა რაიონში მევენახეობის განვითარების საჭიროების შესახებ ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითების განსახორციელებლად ჩვენ ჩავატარეთ ზოგიერთი ღონისძიება მევენახეობის აღდგენისათვის რაიონში. 1939 წლის გაზაფხულზე თელავის მეღვინეობისა და მევენახეობის ინსტიტუტიდან ჩამოვიტანეთ 24 ხარისხის ვაზის ნერგი 4.000 ცალის რაოდენობით და გავაშენეთ საცდელი ვენახები რაიონის ერთ ზონაში. მიუხედავად იმისა, რომ რაიონში სპეციალისტის უყოლობის გამო მთლიანად არ იყო დაცული აგროტექნიკური წესები როგორც გაშენების, ისე შემდგომი მოვლის დროს, ყველა ჯიშმა გაიხარა, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა წელს პირველი ნაყოფიც კი მოიტანა. ამ ნაკვეთების საერთო მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული. განსაკუთრებით კარგი შედეგები გვიჩვენეს ისეთმა ჯიშებმა როგორიც არის: „პინოფრანი", „ალიგოტე", „გორულა მწვანე", „შავკაპიტო" და „შასლა".

რაიონში მევენახეობის დარგში უახლოეს სამუშაოებს წარმოადგენს: ვენახებისათვის ვარგისი მასივების შესწავლა და გამოყოფა, გაფართოება ჯიშსაცდელი ნაკვეთების ქსელისა როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ჯიშებისათვის, 1941 წელს ახალი ვენახების გაშენება და არსებული ოთხი ნაკვეთის გაფართოება, ცდის სახით ვენახების გაშენება ურწყავ ნაკვეთებზე, სათბურებისა და სანერგეების მოწყობა, ამერიკული ვაზის სადედის მოწყობა, რაიონის უზრუნველყოფა მევენახეობის სპეციალისტთა კადრებით, მევენახეობისა და მეღვინეობის საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასაყრდენი პუნქტის მოწყობა ახალციხეში.

მესხეთის რაიონებში მევენახეობის აღდგენა და განვითარება დიდ სამეურნეო და პოლიტიკურ ღონისძიებას წარმოადგენს, რომლის განხორციელება რაიონის ყველა პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების საპატიო საქმეა. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი დახმარება უნდა გაგვიწიონ მევენახეობის რაიონებმა, მევენახეობისა და მეღვინეობის თელავის ინსტიტუტმა და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა.

მესხეთში მევენახეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება უაღრესად აქტუალური საკითხია და მას მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ.

მეხილეობა ახალციხის რაიონში, როგორც საქართველოს სხვა რაიონებშიც, სავსებით განვითარებული და გავრცელებული კულტურაა, რომელსაც რაიონის სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ვაშლისა და მსხლის საუკეთესო ევროპულ ჯიშებთან ერთად რაიონს აქვს თავისი ადგილობრივი ჯიშებიც. ვაშლის ახალციხური ჯიშები „აბილაური", ან, როგორც მას ადგილობრივ უწოდებენ, „ფაშა-ალმა", „სუდ-ალმა", „სობა-ვაშლი", „შაქარ-ალმა", „შაქარნაბადა". და მრავალი სხვა ადგილობრივ ჯიშებად ითვლებიან. რაიონში გავრცელებულია მსხლის შემდეგი ადგილობრივი ჯიშები: „კაბახ-არმუდი", „ნანაზირი", „თავრიდ-ყულა", — ხეჭეჭურის ტიპის ჯიში, „უზუნ - არმუდი" — გულაბის ტიპისა, რომელიც ფორმით ძალიან ლამაზია და გემოთი საუკეთესო ევროპულ ზაფხულ-შემოდგომის ჯიშის მსხლებზე მაღლა დგას, და სხვ.

ასეთი უპირატესობა უთუოდ უწყობდა და უწყობს ხელს მეხილეობის შემდგომ განვითარებას ახალციხის რაიონში და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებით რაიონი მოიპოვებს თვალსაჩინო წარმატებებს ამ საქმეში.

ხეხილის ბაღებს რაიონში უჭირავს 1165 ჰექტარი, აქედან 450,1 ჰექტარზე ბაღები უკანასკნელ წლებში გაშენდა. რაიონის 5 კოლმეურნეობაში არის სანერგეები 50.000 ნერგით.

1941 წლისათვის დაგეგმილია ახალი ბაღების გაშენება 70 ჰექტარზე. აგრეთვე კაკლის ხეების დარგვა სარწყავი არხების გაყოლებით და ბაღების გარშემო 2.000 ძირის რაოდენობით.

ახალ ბაღებში უმთავრესად გაშენდება ვაშლი, მსხალი, აგრეთვე ატამი, რომლის გაშენებასაც რაიონში წინათ არ მისდევდნენ.

რაიონში მეხილეობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოებისათვის საჭიროა წყალთა მეურნეობის სრულ წესრიგში მოყვანა. ძველი არსებული არხების აღდგენა და წყალსატევებისა და წყალსაცავების მშენებლობა გაზრდის რაიონის წყლის რესურსებს და ამით შექმნის ყველა პირობას მეხილეობის მაქსიმალური განვითარებისათვის რაიონში.

საჭურველის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონპროექტის განხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 6 თებერვალი (საკდესი). წარმომადგენელთა პალატაში საჭურველის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონპროექტის განხილვის დროს პალატის წევრმა, რესპუბლიკელმა მაასმა შეიტანა კანონპროექტის შესწორება, რომელიც ითვალისწინებს შეერთებული შტატების მიერ დასავლეთ ნახევარსფეროში ინგლისის კუთვნილი კუნძულების შესყიდვას ინგლისისათვის სამხედრო მასალების სესხად ან იჯარით გადაცემის ხარჯზე. სკრიპს-ჰოვარდის საგაზეთო ტრესტის პრესა მხარს უჭერს მაასის წინადადებას.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ 5 თებერვალს მოისმინა ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის კემპერის სიტყვა. კემპერმა გაილაშქრა კანონპროექტის მიღების წინააღმდეგ, თუ იგი სერიოზულად არ იქნება შეცვლილი. კემპერის სიტყვით, სავაჭრო პალატის ხელმძღვანელები მხარს უჭერენ კანონპროექტში ისეთი შესწორების შეტანას, რომელიც კონგრესს შესაძლებლობას მისცემს კონტროლი გაუწიოს პრეზიდენტის მოქმედებას საზღვარგარეთ სამხედრო მასალის გაგზავნის საქმეში.

შესწორება ითვალისწინებს აგრეთვე ამერიკის გემებისათვის კონგრესის ნებადაურთველად ომის ზონებში რეისების აკრძალვას და კანონპროექტში სხვა არსებით ცვლილებათა შეტანას. კემპერმა შიში გამოსთქვა, რომ კანონპროექტი პრეზიდენტს შესაძლებლობას მისცემს კერძო პირებს ჩამოართვას მასალები საზღვარგარეთ გასაგზავნად.

ფართო მოხმარების საგნების გაძვირება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 6 თებერვალი (საკდესი). ნიუ-იორკის ჰოსპიტალთა ასოციაციის თავმჯდომარემ ეროუსმიტმა ვაშინგტონში პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ შარშან ხორცის ფასი მკვეთრად გაიზარდა, რამაც 90 ჰოსპიტლის ბიუჯეტი შეარყია. ნაციონალური თავდაცვის კომიტეტის მოხმარების საგანთა განყოფილების ხელმძღვანელმა ელიოტმა ეროუსმიტის პროტესტის საპასუხოდ განაცხადა: „ხორცის გაძვირებისადმი მომხმარებელთა მხრივ წინააღმდეგობის გაწევა ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ვფიქრობთ, რომ არსებულ პირობებში ეს წინააღმდეგობა სავსებით დასაბუთებულია".

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, ნიუ-იორკის ხელისუფალნი ფიქრობენ, რომ ქალაქში ამა წლის თებერვლის დასაწყისისათვის გასული წლის თებერვალთან შედარებით, ღორის ხორცის ფასი გადიდდა 29 პროცენტით, ძროხის ხორცისა — 23 პროცენტით, ხბოს ხორცისა — 15 პროცენტით, ცხვრის ხორცისა — 14 პროცენტით.

მდგომარეობა რუმინეთში

ბუქარესტი, 6 თებერვალი (საკდესი). გაზეთები კვლავ აქვეყნებენ ოფიციალურ ცნობებს იმ დაპატიმრებისა და ჩხრეკის შედეგების შესახებ, რაც მოახდინა ხელისუფლებამ 21-23 იანვრის ამბებში დამნაშავეთა აღმოსაჩენად. ამ ცნობების მიხედვით, მეამბოხეებს ჩამოართვეს იარაღი ბუქარესტსა და პროვინციაში, აღმოაჩინეს ახალი საწყობები, სადაც ქონება ინახებოდა.

ცნობებში ნათქვამია, რომ 4 თებერვალს სამხედრო სასამართლომ აჯანყებულ ლეგიონერთაგან 31 კაცს მიუსაჯა საპატიმროში მოთავსება 3 თვიდან 5 წლამდე.

ბუქარესტში შემოღებულია სპეციალური სატვირთო მანქანებით ქუჩების პატრულირება მთელი დღე-ღამის განმავლობაში. ამ ღონისძიების მიზანია გაუწიოს კონტროლი იმას, რომ მოსახლეობამ შეასრულოს გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი. პატრულები დააპატიმრებენ იმ პირთ, რომლებიც ამ დადგენილებებს არ შეასრულებენ.

გენერალ ანტონესკუს დეკრეტი რუმინეთში სიკვდილით დასჯის შემოღების შესახებ

ბუქარესტი, 6 თებერვალი (საკდესი). ყველა დღევანდელმა გაზეთმა გამოაქვეყნა ანტონესკუს ახალი დეკრეტის ტექსტი. დეკრეტით რუმინეთში შემოღებულია სიკვდილით დასჯა იმ მიზნით, რომ „აღკვეთილ იქნას მოქმედებანი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს არსებობასა და ინტერესებს".

დეკრეტში ჩამოთვლილია ზოგიერთი დანაშაული, რომელთა ჩამდენი პირნი სიკვდილით ისჯებიან. ასეთ დანაშაულად ითვლება: იარაღის, სამხედრო მასალისა და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა სათანადო ნებართვის მიუღებლად, იარაღის სახელმწიფო საწყობებისა და ფულის სალაროების გაძარცვა, სახელმწიფოს წესწყობილების საწინააღმდეგო დემონსტრაციების წაქეზება, მთავრობის წევრებსა და ხელისუფლებისა და არმიის წარმომადგენლებზე თავდასხმის მოწყობა, ისეთი ხელნაწერებისა და მანიფესტების დაბეჭდვა ან გამრავლება, რომელთა შინაარსი მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ.

დეკრეტით აკრძალულია ყოველგვარი პოლიტიკური ორგანიზაცია, არალეგალური საზოგადოება და მანიფესტაციები. ამ შემთხვევაში სასჯელის ღონისძიებად გათვალისწინებულია 5-დან 15-მდე წლის კატორღა.

სხვადასხვა ვადის კატორღა და პატიმრობა მიესჯება ყველას, ვინც შეურაცხყოფს ხელისუფლების წარმომადგენლებს და აკრძალული ფორმის ტანისამოსს ჩაიცვამს. დეკრეტი უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს ებრაული ან საერთოდ არარუმინული წარმოშობის პირთათვის.

დეკრეტში აღნიშნულია აგრეთვე, რომ სასამართლომ ასეთ საქმეთა გამო განაჩენი უნდა გამოიტანოს 24 საათის განმავლობაში. განაჩენს სისრულეში მოიყვანენ განაჩენის გამოტანის შემდეგ 10 საათის შერმე.

ომი ევროპასა და აფრიკაში

სამხედრო მოქმედების დღიური, 6 თებერვალი

ინგლისის რადიოს ცნობით, ინგლისის ჯარი, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში მოქმედებს, კვლავ მიიწევს ბენგაზის მიმართულებით.

დიდ აქტივობას იჩენს ავიაცია. იტალიის თვითმფრინავებმა,—ნათქვამია იტალიის სარდლობის ცნობაში, — ყუმბარა დაუშინეს ინგლისის მოტომექანიზებულ ნაწილებს. ინგლისის ახლო—აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ინგლისის ავიაციამ კვლავ დაუშინა ყუმბარა ბარკის რკინიგზის სადგურს და კომუნიკაციების ხაზებს, რომლებიც ბარკასბენგაზთან აერთებენ, აგრეთვე ბენინას და ბერკეში არსებულ აეროდრომს.

იტალიის აღმოსავლეთ აფრიკაში, ჩრდილოეთის ფრონტზე, კერენის ზონაში (ერიტრეა) 5 თებერვალს ძლიერი ბრძოლა იყო.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის ჯარი, რომელიც ჩრდილოეთის მიმართულებით მიიწევს, უკვე გარს ერტყმის კერენს.

იტალიელები აღმოსავლეთ აფრიკის სამივე ფრონტზე უკან იხევენ.

აბისინიაში ინგლისელთა მოტომექანიზებული ნაწილები გონდარისაკენ მიიწევენ.

იტალიისა და ინგლისის ცნობებში აღნიშნულია, რომ ყველა ამ ფრონტზე ორივე მხარის ავიაცია აქტივობას იჩენს.

საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ ცალკეული პატრულები აქტივობას იჩენენ და არტილერია ინტენსიურად მოქმედებს. საბერძნეთის ჯარმა მოიგერია იტალიელთა ტანკების იერიში.

ცენტრალურ ფრონტზე ბერძნებმა იერიშით აიღეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. საბერძნეთის ჯარი, როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ვალონასა და ბერატისაკენ მიიწევს.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ვალონის ნავსადგური დიდი ნგრევის გამო ახლა გამოუსადეგარია.

იტალიელები იყენებენ პატარა ნავსადგურ კრიონეროს, რომელიც ვალონის მეზობლად მდებარეობს.

იუგოსლავიის გაზეთი „ვრემე" სწერს, რომ იტალიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ბერძნების პოზიციებს ტეპელენეს რაიონში და არგიროკასტრონ-ტეპელენეს გზას. ინგლის - საბერძნეთის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა იტალიის ჯარის კომუნიკაციებს, ვალონა-ტეპელენესა და ბერატ-კლისურის გზებს.

ინგლის - გერმანიის ფრონტზე ავიაციის აქტივობაა. გერმანიის ყუმბარმშენებმა, — აღნიშნულია გერმანიის სარდლობის ცნობაში, — ყუმბარა დაუშინეს ჰარვიჩის სამხრეთ-დასავლეთით არსებულ საველე სიმაგრეებს და ტემზის შესართავთან თავმოყრილ გემებს. გერმანიის სამი თვითმფრინავი უკვალოდ დაიკარგა. ოკუპირებულ ლა-მანშის სანაპიროს ტერიტორიაზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის დროს ჩამოგდებულ იქნა ინგლისის 17 თვითმფრინავი.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისის ავიაცია დიდ აქტივობას იჩენს ლა-მანშთან და ჩრდილოეთ-დასავლეთ საფრანგეთში; სამინისტროს ცნობით, 5 თებერვალს მოსპობილ იქნა გერმანიის 6 თვითმფრინავი. როგორც აღნიშნავენ, დიუსელდორფზე 4 თებერვლის ღამის თავდასხმა ოთხნახევარ საათს გრძელდებოდა. ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ამ სამრეწველო ქალაქის დიდ რაიონს.

6 თებერვალი (საკდესი).

„როზ-მარი" თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში. სურათზე: ვანდას როზ-მარის და ჯიმის კოსტიუმების ესკიზები.

ოპერეტა „როზ-მარი"

თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში

თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრმა მუშაობა დაიწყო მცირე ფორმის რეპერტუარით. დროთა განმავლობაში თეატრი გაიზარდა და თანდათანობით გადავიდა დიდ ფორმებზე. ამ პერიოდს ეკუთვნის კლასიკური კომედიების („სკაპენის ოინები", „ძაღლი თივაზე", „ესპანელი მღვდელი" და სხვ.), განხორციელება ჩვენი თეატრის სცენაზე. მაგრამ თეატრს თავიდანვე ჰქონდა მუსიკალური განხრა. აქედან გამომდინარეობდა მთელი რიგი კომედიების გამუსიკება, შიგ სასიმღერო და საცეკვაო ნომრების შეტანა. ასეთია „სიქთო", „უჩინ-მაჩინი", „აყვავებული ბაღი". გამუსიკალებულ კომედიებსა და ვოდევილებზე თეატრმა შეამოწმა თავისი ძალები და თანაც აღზარდა მსახიობები უფრო ძნელი ჟანრის — ოპერეტის ასათვისებლად. იყო ოპერეტის დადგმის ცდაც. ასეთია ჩვენი „ხაჯარათი". ჩვენ „ხაჯარათს" ვუწოდებთ „ცდას", რადგან იგი ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი ოპერეტა, ამ ჟანრის სრულქმნილი განსახიერება.

საერთოდ ჩვენში, საქართველოში, ოპერეტის თეატრი არ არსებობდა. ცალკეული ცდები ოპერეტების დადგმისა ეკუთვნოდა ქართული დრამატიული თეატრის მსახიობებს, რასაც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და არ ისახავდა მიზნად ოპერეტის ჟანრის თეატრის შექმნას, ისე როგორც იგი შეიქმნა რუსულ სცენაზე. ამ მხრივ თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრს წინაპარი არ ჰყოლია.

მიმდინარე სეზონში თეატრმა გადაწყვიტა დაედგა ნამდვილი ოპერეტა. არჩევანი შეჩერდა ცნობილ ოპერეტაზე „როზ-მარი", რომელიც მუსიკალურად საინტერესოა, შინაარსის მხრივ სავსებით მისაღებია და დასადგმელად, შესასრულებლად ერთობ რთულია. „როზ-მარის" დადგმას ჩვენს თეატრში ორი გამართლება აქვს: პირველი—ვუჩვენოთ მაყურებელს ქართულ სცენაზე საინტერესო ოპერეტა და მეორეც—მივცეთ თეატრის შემადგენლობას საშუალება გამოავლინოს თავისი ძალები ნამდვილი ოპერეტის დადგმით. ამას გარდა „როზ-მარი" ხელს შეუწყობს ქართული ორიგინალური ოპერეტის შექმნას, რადგან ჩვენი ავტორები და კომპოზიტორები გაეცნობიან ამ ჟანრის სანიმუშო ნაწარმოებს. ჩვენთან დაახლოვებული ავტორები (ლაკერბაია, მ. ჯაფარიძე, მ. გოგიაშვილი და სხვები) და კომპოზიტორები (ც. კურტიდი, ვ. ცაგარეიშვილი და სხვ.), ბევრს საინტერესოს ნახავენ „როზ-მარის" დადგმებში თავისი შემდგომი მუშაობისათვის. თეატრი ამ გზით მუშაობას კვლავ განაგრძობს. თუ ერთის მხრით ვმუშაობთ ორიგინალური ქართული ოპერეტის „მამლის ბრალიას" დადგმაზე, მეორე მხრივ ჩვენ უკვე ვამზადებთ და 25 თებერვალს ვუჩვენებთ მაყურებელს ნათარგმნ ოპერეტას „ცისფერი კლდეები".

„როზ-მარი" რთული დადგმაა. ამ დიდი მუშაობის ჩატარება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მითითებების საფუძველზე თეატრმა გარდაჰქმნა და გააძლიერა შემოქმედებითი მუშაობა. თეატრის კოლექტივი გაძლიერებულია ვოკალური, რეჟისორული და დირიჟორული ძალებით. „როზ-მარის" დადგმაში დიდი მუშაობა ჩაატარა რეჟისორმა ა. ჩხარტიშვილმა, დირიჟორმა კ. მაჩაბელმა, მხატვარმა ი. შტენბერგმა, ქორეოგრაფმა დ. მაჭავარიანმა და მთელმა კოლექტივმა.

„როზ-მარი" მზად არის. პრემიერა შესდგება 8 თებერვალს. თეატრი ელის საბჭოთა მაყურებლის მიერ ამ რთული დადგმის მიუდგომელ შეფასებას.

თეატრის დირექტორი **ვ. ნოდია.**

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის 10 წლისთავი

თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი 10 თებერვალს აღნიშნავს თავისი არსებობის 10 წლისთავს და საქართველოში სატრანსპორტო უმაღლესი განათლების 20 წლისთავს.

განვლილი 10 წლის მანძილზე ინსტიტუტმა ჩვენს სოციალისტურ ტრანსპორტს მისცა 2.455 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

ინსტიტუტის ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სექტორებზე ამჟამად 1.500-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, მათ შორის შვიდი სტუდენტი სტალინური სტიპენდიანტია.

ამ ათი წლის განმავლობაში საგრძნობლად განმტკიცდა ინსტიტუტის მატერიალური ბაზა. ინსტიტუტის კაბინეტები და ლაბორატორიები უზრუნველყოფილია საუკეთესო ხელსაწყოებით. ინსტიტუტში 270 პროფესორი, დოცენტი და მასწავლებელი მუშაობს.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაციონალური სამეცნიერო კადრების მომზადებას.

ინსტიტუტი ნაწილობრივ გადასულია ახალ შენობაში, რომლის მთელი ღირებულება 13 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

იუბილესთან დაკავშირებით ინსტიტუტში იწვევენ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციას, რომელზეც მოსმენილი და განხილული იქნება 60-მდე მოხსენება.

ინსტიტუტი აწყობს აგრეთვე იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენას.

შავგულიძისა და ალბეგოვის გამოგონება

მოსკოვი, („კომუნისტის" საკ. კორ.). საორთქლმავლო და სავაგონო მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაამთავრა ამხ. შავგულიძისა და ალბეგოვის გამოგონების ლაბორატორიული გამოცდა. ეს გამოგონება მდგომარეობს შემდეგში: მატროსოვის სისტემის მუხრუჭს უკეთდება ორი მოწყობილობა — მუდმივობის სარქველი და მოწყობილობა მუხრუჭის გაადვილებული მოშვებისათვის. „მოშვების დროის მუდმივობის სარქველი" ავტომატურად არბილებს წინა ვაგონების განმუხრუჭებას და აჩქარებს შეკუმშული ჰაერის მოძრაობას სამუხრუჭე მაგისტრალში ბოლო ვაგონებისაკენ. „მუხრუჭის გაადვილებული მოშვების მოწყობილობა" წარმოადგენს ზამბარას, რომელიც ქვევით სწევს მთავარ დგუშს. ნორმალურ მდგომარეობაში იგი არ არღვევს მუხრუჭის მუშაობას, მაგრამ თუ ჩნდება თვლების ჩასოლვის საშიშროება, იგი ავტომატურად მოუშვებს მუხრუჭს. უახლოეს დროში ეს მოწყობილობა გაუკეთდება სპეციალურ საცდელ შემადგენლობას.

„არის თუ არა სიცოცხლე პლანეტებზე"

— არის თუ არა სიცოცხლე პლანეტებზე? ასეთი იყო თემა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული საბჭოს თავმჯდომარის პროფ. ა. მიხაილოვის ლექციისა, რომელიც მან წაიკითხა ამასწინათ ამიერ-კავკასიის რკინიგზათა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებთან.

გარდა ჩვენი მზის სისტემისა, რომელსაც თან ახლავს 9 პლანეტა, სამყაროში აურაცხელი სხვა „მზეებია" და თვითეულ ამ „მზეს", რასაც ჩვენ ვარსკვლავს ვეძახით, საკუთარი თანმხლებელი პლანეტების სისტემები აქვთ. კაცობრიობამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ისეთ საშუალებას, რომ დაინახოს და დაწვრილებით შეისწავლოს ეს შორეული პლანეტები. თანამედროვე ასტრონომიულ მეცნიერებას შედარებით უკეთესად აქვს შესწავლილი ჩვენი მზის სისტემაში შემავალი პლანეტები, და მომხსენებელი პროფ. მიხაილოვი შეჩერდა სწორედ ამ პლანეტებზე სიცოცხლის არსებობა-არარსებობის საკითხზე.

ჩვენ მზესთან, სთქვა მან, — ყველაზე ახლოს არის პლანეტი მერკური, მეორე ადგილზეა ვენერა, მესამეზე — ჩვენი პლანეტი (დედამიწა), მეოთხეზე — მარსი, შემდეგ კი იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და ყველაზე შორს მზისაგან არის ახლად აღმოჩენილი პლანეტი პლუტონი. პროფ. მიხაილოვმა დაწვრილებით დაახასიათა პლანეტების — მერკურის და ვენერას ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და გამოიყვანა დასკვნა, რომ იქ არ შეიძლება არსებობდეს სიცოცხლე. შემდეგ იგი ვრცლად შეჩერდა პლანეტ მარსის შესახებ და აღნიშნა, რომ ახლა თითქმის დამტკიცებულად შეიძლება მივიჩნიოთ მარსზე მცენარეთა არსებობა. რაც შეეხება იქ გონიერ არსებათა სიცოცხლეს, სამისოდ მარსზე ყველა პირობებია, ხოლო რაიმე დამადასტურებელი ფაქტი, რომ მარსზე გონიერი არსებანი არიან, თანამედროვე ასტრონომიულ მეცნიერებას არ მოეპოვება. დანარჩენ პლანეტებზე კი, მზისაგან მათი სიშორის გამო, სიცოცხლის არსებობა შეუძლებლად უნდა ვცნოთ.

ლექციამ მსმენელებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ლექტორს აურაცხელი შეკითხვები მისცეს.

ახალი წიგნები მასწავლებელთათვის

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გამოსცა შემდეგი წიგნები: ისტორიის პირველი გაკვეთილები (მეთოდური დამუშავებანი), **დ. ლორთქიფანიძის** — „იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა", დოც. **ვ. ყიფშიძის** — „ლაბორატორიული სამუშაოები ფიზიკაში" (საშუალო სკოლის მე-8, მე-9 და მე-10 კლასებისათვის), **ვ. აბდუშელიშვილის** — „პირველი ხარისხის განტოლებათა დამუშავების ხერხები", **დ. რამიშვილის** — „გეომეტრიის როლი სწავლების პროცესში", **ბ. კიზირიას** —„მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შემოწმება და შეფასება გაკვეთილზე", **ე. ვასაძის** — „ბრძოლა დარვინიზმისათვის" (მასწავლებელთა დასახმარებლად), **ვალ. რამიშვილის** — „ნორმალური ტიპის სახელთა ბრუნება" (ქართული ენის მასწავლებელთათვის), პროფ. **გ. თავზიშვილის** — „ინტერნაციონალური აღზრდა საბჭოთა სკოლაში".

სრულიად - აფხაზეთის პირველი სამთო-სათხილამურო შეჯიბრება

სოხუმი, (საქდესი). გაგრის ქედის შალამთიან ალპურ მინდორზე, ზღვის დონიდან 1.640 მეტრზე, 6 თებერვალს დაიწყო სრულიად-აფხაზეთის პირველი სამთო-სათხილამურო შეჯიბრება, რომელიც მოწყობილია საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავის აღსანიშნავად. შეჯიბრების პროგრამაშია მთის კალთებიდან სათხილამურო ჩამორბენა, სლალომი. შეჯიბრებაში მონაწილეობს სოხუმისა და გაგრის 15 მოთხილამურე. მათ შორის—4 ქალი. შეჯიბრების ... ც 10 თებერვლამდე გასტანს. შეარჩევენ მოთხილამურეებს სრულიად-საქართველოს სათხილამურო შეჯიბრებისათვის, რაც ბაკურიანში გაიმართება, აგრეთვე აფხაზეთის ჩემპიონატისათვის.

განზრახულია წელს გაგრის ქედზე შეიქმნას სამთო-სათხილამურო სადგური აფხაზეთში სამთო-სათხილამურო სპორტის განსავითარებლად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე აწყობს დიდ გამოფენას თემაზე „XIX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ისტორიის მასალები და ქართული საბჭოთა მწერლობა". გამოფენის მრავალი განყოფილება უჩვენებს ქართული ლიტერატურის განვითარების მთავარ ეტაპებს გასული საუკუნის დასაწყისიდან.

გამოფენილ იქნება მასალები რომანტიზმის გამოჩენილი წარმომადგენლების: ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის შესახებ. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა გენიალურ პოეტს ნ. ბარათაშვილს. მთელი რიგი მეტად საინტერესო ექსპონატები გვიჩვენებენ პოეტის შემოქმედების, მისი ცხოვრების გზის მთავარ ეტაპებს. პირველად იქნება გამოფენილი ახლადაღმოჩენილი საარქივო დოკუმენტები, კერძოდ, პოეტის სამსახურებრივი მიმოწერა, მისი ლექსების ავტოგრაფები, პოეტის პორტრეტის დღემდე უცნობი ესკიზი.

გამოფენის ერთი განყოფილება მიეძღვნება საქართველოში პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონტოვისა და მაქსიმ გორკის ყოფნის მასალებს.

გამოფენის შემდეგი განყოფილებები გვიჩვენებენ მანანა ორბელიანის ლიტერატურულ სალონს, ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის ჩასახვას, გიორგი ერისთავის დრამატურგიას, „მამებისა და შვილების" ბრძოლის პერიოდს და ხალხოსან მწერლებს. გამოფენა გამოხატავს ქართველი მწერლების მონაწილეობას ქართველი ხალხის ნაციონალურ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში გასულ საუკუნესა და 1905 წლის რევოლუციაში.

„ქართული საბჭოთა მწერლობის" განყოფილებაში წარმოდგენილ იქნება მასალები თანამედროვე პოეტების, მწერლების, დრამატურგებისა და კრიტიკოსთა შესახებ (ავტოგრაფები, პორტრეტები, თხზულებანი).

გამოფენილ იქნება საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართველ კლასიკოსთა გამოცემული თხზულებანი, აგრეთვე მხატვრული პერიოდული გამოცემანი.

ლიტერატურის მუზეუმმა მხატვრებს შეუკვეთა სურათები გამოფენისათვის. მხატვარი გ. ჯაფარიძე ხატავს სურათს „ნიკოლოზ ბარათაშვილი მტკვრის პირას", ი. ასლამაზიანი მუშაობს სურათზე „მანანა ორბელიანის სალონი". (საქდესი).

მუსიკალურ ათწლედში

თბილისის კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედი ემზადება საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისათვის. საიუბილეო დღეებში მუსიკალური ათწლედი კონსერვატორიის ახალ დარბაზში გამართავს ფრიადოსან მოსწავლეთა საჩვენებელ კონცერტს ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. პროგრამაში არიან კლასიკოსები და საბჭოთა კომპოზიტორები.

საიუბილეო დღეებში ათწლედის ფრიადოსანი მოსწავლეები კონცერტს გამართავენ აგრეთვე წითელარმიელთათვის. მოეწყობა გამოფენა, რომელიც ასახავს ათწლედის მიღწევებს. სკოლის პედაგოგებმა აიღეს მთელი რიგი ვალდებულებანი. ა. ბალანჩივაძემ და შ. თაქთაქიშვილმა ათწლედს ჩააბარეს ახალი ნაწარმოებები, რომლებსაც ათწლედის ფრიადოსნები აღნიშნულ კონცერტებზე შეასრულებენ.

ლექციები და მოხსენებები

8 თებერვალს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში (მარქს ქ. № 1) შესდგება პროფ. **ათაბეგოვის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„II იმპერიალისტური ომის წყნარ ოკეანეს კვანძი".** ბილეთები იყიდება საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში.

10 თებერვალს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, რუსთაველის თეატრში შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა **„საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა".**

ბილეთები იყიდება რუსთაველის თეატრის სალაროში და საქ. კ. პ. (ბ) ბერიას რაიკომის პარტკაბინეტში.

ლ. ქეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

10 თებერვალს, საღამოს 8 ს. 30 წ., ლ. ქეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში შესდგება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. **ზავრიევის** ლექცია რუსულ ენაზე: თემა: **„მეორე იმპერიალისტური ომი".**

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3072022, გაცემული ნუნუ გიორგის-ასულ **დანელიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო სექტორში, ძერჟინსკის ქუჩა № 8, ამხ. სერედასთან, ოთახი № 22 3 დღის ვადაში უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: იოსებ სერგის-ძე **აბრამიანი,** ლიზა ამბარცუმის-ასული **ბაბაიანი,** იაკობ ივანეს-ძე **ვეხლოვი,** ივანე იაკობის-ძე **ვინოგრადოვი,** ანა პეტრეს-ასული **ვორონოვა,** ვასილ რომანის-ძე **ძნელაძე,** თედორე მიხეილის-ძე **ივანოვი,** მარიამ პეტრეს-ასული **ივანოვა,** ზოია თედორეს-ასული **კომპანიენი,** ივანე სიმონის-ძე **კაზიკინი,** ნიკიფორე ტიხონის-ძე **კოჩეგაროვი,** მიხეილ ვასილის-ძე **კოშკაროვი,** ალექსანდრე ივანეს-ძე **მელნიკოვი,** ივანე დიმიტრის-ძე **ნოვოსელეცკი,** ვერა ივანეს-ასული **პეტროვა,** მიხეილ თედორეს-ძე **პეტროვი,** ალექსი ანდრიას-ძე **რეშეტოვი,** პავლე ნიკიტას-ძე **რომანოვი,** ვალერიან სამსონის-ძე **ჩომახიძე** და ნიკოლოზ ივანეს-ძე **ხეფსტიანოვი.**

მწერალთა კავშირში

8 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კავშირში (მაჩაბლის ქ., № 13) დამწყებ დრამატურგთა წრის მორიგ მეცადინეობაზე ამხ. ნ. კიღლიშვილი წაიკითხავს თავის პიესას „ოქროს მარცვალი". წრის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

რადიოგადაცემა დღეს

09.00 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე; 09.15 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 10.00 — სტატიები გაზეთებიდან; 10.30—გადაცემა ციკლიდან—„სკოლის ცხოვრება"; 10.50 — სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები; 11.30 — თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე; 12.45—საუბარი ქართულ ენაზე: „სამოქალაქო ომის გმირი ალექსანდრე პარხომენკო"; 14.00 — საზოგადოებრივ - პოლიტიკური გადაცემები, ტრანსლაცია მოსკოვიდან; 17.00 — კონცერტი პიონერთა და მოსწავლეთათვის — „კავკასიის ხალხთა სიმღერები და ცეკვები"; 18.00—გადაცემა ციკლიდან — მუსიკალური თვითგანვითარების დასახმარებლად — „რა არის მენუეტი"; 19.20—კონცერტი ქართული სიმღერებისა და ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის მცირე შემადგენლობის შესრულებით; 20.45 — კონცერტი: პროგრამაშია შუბერტის, შუმანის და ბრამსის კამერული ნაწარმოებები; 22.06 —გადაცემა, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს XX წლისთავისადმი — კომპ. შ. მშველიძის შემოქმედებითი პორტრეტი; 23.35—საცეკვაო მუსიკა; 00.30—უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „ჰაკარ ნეჰაი", **ოქტომბერი** — „მაკარ ნეჰაი", **დამკვრელი** — „ორიოლის" დაღუპვა", **დღისით** — „ყუბანელები", **კომკავშირელი** — „ტორეკელი თეთრი", **სპარტაკი**— „კატერინა", **ლუქსემბურგის სახ.** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **ბერიას სახელობის კულტურის სახლი** — „მაქსიმ მაქსიმიჩი", **26 კომ. სახ.**—„მთის ნაკადი", **განთიადი** — „დიდი ცხოვრება", **ნავთლუღი** — „ლენინი 1918 წელს", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი**—„ვიქორ", **მეცნიერება და ცოდნა** — „სიხარულის ქვეყანა", **საზკვების კავშირის კლუბი**— „დედაკაცები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

8 თებერვალს
მე-7 აბ. მე-7 წარმ.
დაისი

9 თებერვალს
მე-5 აბ. მე-7 წარმ.
სამშობლო

დასაწყისი საღამოს 8 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

8 თებერვალს
უდანაშაულო დამნაშავენი

9 თებერვალს
ლალაში

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

9 თებერვალს დღისით
გიორგი სააკაძე
დასაწყისი დღის 12 ს.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

8 თებერვალს
ვერაგობა და სიყვარული

9 თებერვალს
სერია მე-3 აბ მე-6 წარმ
ჩავეხილი ხიდი

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

9 თებერვალს დღისით
ბედნიერება
დასაწყისი დღის 12 ს.

ქალაქ თბილისის მოსახლეობის საყურადღებოდ

ნატახტარის წყალსადენის ბეტონის წყალსადენის ხაზის შეკეთებასთან დაკავშირებით შაბათს ე. ი. 8 თებერვალს ღამის 12 საათიდან 9 თებერვლის ღამის 12 საათამდე შეწყვეტილი იქნება ქალაქისათვის წყლის მიწოდება.

ქალაქის რეზერვუარებში და ქსელში ხანძრის საწინააღმდეგო წყლის მარაგის შენარჩუნების მიზნით თბილისის წყალსადენის სამმართველო სთხოვს ქალაქის მოსახლეობას და წარმოებათა ხელმძღვანელებს აიღონ წყლის აუცილებელი მარაგი 8 თებერვალს ღამის 10 საათამდე. ხოლო ამის შემდეგ 9 თებერვლის ღამის 12 საათამდე ქალაქის წყალსადენიდან წყლის ხარჯვა აწარმოონ რაც შეიძლება მომჭირნეობით.

44

ისტორიულ-მხატვრული ფილმის „გიორგი სააკაძის" დადგმისათვის

თბილისის კინოსტუდია იძენს აღმოსავლეთის ხალხთა ძველებურ კოსტუმებს, მე-18 საუკუნის ქუდებს, იარაღს და საოჯახო ნივთებს, აგრეთვე მძივებს, ბუზმენტებს და სხვა სამკაულს.

წინადადებებით უნდა მიმართოთ კინოსტუდიაში (პლეხანოვის პროსპ. 164, ოთახი № 5) სურათის ადმინისტრატორ ამხ. **გოგაკოვს.** ყოველდღე 10 საათიდან 17 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

3—3 27

დირექცია.

დაკარგულია

პოლიტგანმუშაკთა კურსების საზბანკის საქალაქო განყოფილებიდან ფულის გამოსატანი ჩეკის შემდეგი ნომრები:

219951, 219953, 219954, 219957,
219958, 219959, 219960, 219961,
219962, 219963, 219964, 219965,
219966, 219967.

ჩ. გ. 41

საფეიქრო სამკერვალო-სატრიკოტაჟო კავშირის პრეზიდიუმის მოწოდებით და არტელ „მედმომსახურების" წევრთა საერთო კრების დადგენილებით არტელ „მედმომსახურების" სახელწოდება შეიცვალა არტელ **„პრომტექსტილად"**
1941 წ. 1 იანვრიდან.

გამგეობა

თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი

სთხოვს თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლისა და მის ბაზაზე აღმოცენებული ინდუსტრიული ტექნიკუმის ყველა კურსდამთავრებულთ, მათთან მუდმივი და განუწყვეტელი მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობის დამყარების მიზნით შეატყობინონ ტექნიკუმის დირექციას თავიანთი მისამართი, სამსახურის ადგილი და თანამდებობა და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების თარიღი. კამოს ქ. № 70.

43

ტექნიკუმის დირექტორი **მ. ჯიბუტი.**

შვილები ნიკო, ლევან, მარიამ, შაქრო, სევერიან, ნუნუ, ლადო, რძლები ოლღა, დარეჯან, ირინე, სოფიო, სიძე ვაგან მამასახლისოვი შვილებით იუწყებიან
მარიამ მიხეილის-ასულ ქეცხოველის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/II 8 ს. ვაკე, მეორე ირინის, 13. გამოსვენება 9/II 2 ს. ვაკეში. 10658

მამიდაშვილი მათიკო კორკოტაძე-ომიაძისა ქმრით გერმანეთი, შვილით თენგიზით იუწყება, რომ 9/II 2 ს. ქ. ქუთაისში საფიჩხის სასაფლაოზე დანიშნულია დოცენტ
ნიკოლოზ (კოკი) ჭეიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 10648

პელაგია შვილით ალიოშათი, რძალი მერი, შვილიშვილები დოდიკა, თენგიზ წულუკიძეები იუწყებიან სიძის, ბიძის, ბაბუის
ირაკლი სიმონის-ძე ლეჟავას
გარდაცვალებას. გამოსვენება 9/II 2 ს. ალავერდის მოედანი, 7. 10659

შვილები ბაბუცა, თამარ, ოლია, შურა, სიძეები ი. ხაიომია, ლ. კუპაიძე, შვილიშვილები ნათელა, ქეთო, ლალი იუწყებიან
დედის ჯავახია-გეგეჩკორის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8 ს. წილკანის, 12, დაკრძალვა 9/II 2 ს. ვაკეში. 10655

მეუღლე ნატალია, შვილები მარიამ, თამარ, ნინო, ალექსანდრე, სიძეები მიხეილ, ზინობ, რძალი პარო, შვილიშვილები იუწყებიან
გიგა სოხანას-ძე ბეჟაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 9/II სიღნაღში. 10647

მშობლები ნინო, მიტუშა ახობაძეები, ბებია პელაგია, მამიდა ელენე, ბიძები ვალიკო, სიობა, რძალი სონია შვილებით იუწყებიან
პატარა მეგონა ახობაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/II ს. კავანაში (აბაშის რ.) 10665

დედა მარო, ძმები ბორია, სეროჟა, ვალოდია, დეიდები ანიჩკა, სონია, სირანა, მუშანა, დეიდაშვილები ხინო კოლია გეურქოვები იუწყებიან
თამარ ხერიკაიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/II. გამოსვენება თემრუკის ქ., № 4 დღის 2 ს.

ცოლი ელენე, სიდედრი მარიამ, სიმამრი ივანე ბელოფასტოვები, ს. მუტულაშვილი ცოლით მარიამით იუწყებიან პროფ.
ლავრენტი ალექსის-ძე ფირცხალავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/II 8 ს. კრილოვის, 10, გამოსვენება 9/II 2 ს. ვაკის სასაფლაოზე. 10662

და თამარ, სიძე კონსტანტინე, დისწულები ელენე, მარიამ, სოფიო, ნიკოლოზ, ნინო სუხიაშვილები სიძეები ი. ნიკოლავა და ნ. ფიცხელაური იუწყებიან
მარიამ მიხეილის-ასულ ქეცხოველის
გარდაცვალებას. 10650

მეუღლე ვარო, შვილი ვანო, რძალი მერი უზნაძე შვილებით ამირანით და ლევანით იუწყებიან
ლევან ათანასის-ძე სეხნიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/II 3 ს. ს. ველისციხეში. 10653

სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორები ნ. ხომიზურაშვილი, დ. გედევანიშვილი, ლ. კალანდაძე, ვ. გულისაშვილი, ირ. ბათიაშვილი, ლ. ყანჩაველი, დოც. ბ. ჩიხლაძე იუწყებიან
მარიამ ქეცხოველის
გარდაცვალებას. 10670

თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტი იუწყება ამავე ინსტიტუტის კანისა და ვენ. სნეულებათა კათედრის გამგის
პროფ. **ლავრენტი ალექსის-ძე ფირცხალავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/II, 8 ს. კრილოვის ქ., № 10, დაკრძალვა 9/II. დღის 2 ს. ვაკის სასაფლაოზე.

მშობლები გიორგი, სოფიო ძმები გოგი, ტიგრან, და მარო, სიძე ვახტანგ, შვილი ვეტია, ბიძები მარტია, ვანიჩკა იუწყებიან, რომ 9/II 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ვალოდია სოლოღაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 10636

მშობლები ანიკო, გიორგი, დიდედა დარო, ძმა დავით ცოლით მაროთი, შვილებით ლევანით, რაისათი იუწყებიან, რომ 9/II 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ვახტანგ გიორგის-ძე ჩიკოიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 10641

დედა ევა, მეუღლე ოლღა, შვილი გრიგოლ, დები ეკატერინე, ტუშა ოჯახებით, სიდედრი კესარია შვილებით, რძლებით იუწყებიან, რომ 9/II 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ლადო ვარდოსანიძის
პანაშვიდი. 10644

დედა მატრონე, ძმები შალიკო, ვალიკო, ნიკე, შოთა, რძლები სერაფიმა, ქსენია, ნატაშა, სიძეები ცოლშვილით იუწყებიან
თამარ მეთოდეს-ასულ გამეზარდაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/II ს. ეწერში. 10645

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3—62—26; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის 3—81—84; სასოფლო - სამეურნეოს— 3—73—40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროს — 3—57—61; წერილების—3—73—24; პ.-მგ. მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ., № 28. 1 უე 8869